

ერძათა საკითხავი

უკველ-თვიური სურათებიანი

უურნალი

პედაგოგიურის დამატებით

მშობელთა და აღმზრდელთათვის.

1884.

1883.

თბილისი.


ერმათა საკითხავი წინი:



I	მიპატრუება. სასწავლებელში ლექს. (ქაზნი რუსულიდგან)	თ. რაფ. ერისთავ. ს.
II.	მოგონება. კაკანათი სურათები ემსწვილების ცსოგრებიდამ	ი. რევიშვილისა
III.	ლომ-კაცი. თავი I—V. ზღაპარი.	გ. წერეთლისა
IV.	პაატა მემურიშვილი გმირი ირაკლი II. (გაგონილი ამბავი. „დროებიდამ“)	2
V.	დედის რჩევა ლექსი	ი. რევსძისა.
VI.	ბეოგრაფიული წერილები. წერილი I და II. ¹ კასეთი	რ. ვახანძიანელისა
VII.	მტრედი.—ზატარა მოთხრობა.	ს. მახსუბარიძისა
VIII.	მარინე.—საღესური ლექსი.	ცხელი.
IX	შინა ბიშერას ცულუტობა.—სუმრობა	ნ. ნესტორიძისა.
X.	ბუნების მეცნიერება. ზირკელი ცნობები ზოლოფიიდან. გაკვეთილი ზირკელი. თხზ. ზოლ ბერისა (თარგმანი)	ძლარაელისა.
XI.	ბამოცანები, რებუსები	6
XII.	საინტერესო ცნობები	6
XIII.	„ნობათი“-ს ფოსტა	6

დამატება:

XIV.	მკითხველს	ს. დულაძისა.
XV.	სამაგალითო გაკვეთილები. განმარტები-თი ვითხვა.	ლილიშვილისა.
XVI.	ბარონ ნ. ა. პორფის გარდაცვალებაზე	1
XVII.	ბანცხადებანი	1
XVIII.	სამღერალი ნოტები ცალკე ფურცლად.	





ნო ბ ა თ ი

საბჭოთაო სკოლისთვის

ერძათა საკითხავი

ქართულ-თვითრი სურათებიანი

ქუ რ ნ ა ლ ი

ჰედაგოგიურის დამატებით


(მშობელთა და აღმზრდელთათვის)

754

3193



„აღმართი და დამართი მოსუქენი
საბჭოთა არ დაქსტადებასნი“
რუსთაველა.



თბილისი
1883.

რედაქციისათვის.

ამ ნომერს დააკვირნა შემდეგის მიხედვების გამო: სუთი თქვა, რაც შეტყობულში შევთვალეთ საჭირო სურათების დამზადება; სხვა-თა შორის უნდა გაკვეთებისათვის ერთი დიდი სურათი სათაურისათვის, რა სურათი ზღაპრის „ლომ-გაცი“-სათვის და ათი მსატკრობით შემკობილი ასო-მთავრულები. სამწუხაროთ, დეკემბრის თუთხმეტს მივიღეთ ტელეგრამა, რომლითაც გვაცნობეს, რომ სურათები ჯერ კიდევ მზათ არ არიან.

რადგან გადაწვევით არ ვიცოდით, როდის ვიკვებდით ხელში ამ სურათებს, ამის გამო, შეგიღონე არ გვეჩნდა: რომ მკითხველებთან შირი არ გაკვეთება, გამჯობინეთ სანიმუშო ნომრის გამოცემის დაჩქარება დროებითი სათაურით; „ლომ-გაცი“-სათვის დამზადებული სურათები კი დაიბეჭდებიან ახალ-წლედან დაწყებულს ნომრებში.

იანვრის პირველი წიგნი გამოვა 20 იანვარს.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 24 Декабря.

Я.

სტამბა ი. გ. მელიქიშვილისა.

მიკატიჟაბა სასწავლებელი



ამოდექით ემაწვილებო, ტანთ ჩაიცივით სას-
ქაროზე,
აბა, თავი მოიუარეთ სწავლისათვის თავის
დროზე!..

რა ხანია მამლანუნისა ივივლა და გაბთენა,
მერცხალმაც კი იჭიკჭიკა, არ დააცნო ტკბილი ენა!..
აკერ ტემაც გაიღვიძა, შრიალებს და რაცღას სარობს,
კოსალა ხეს უკაკუნებს და მწვერ-ჩიტა ცაში გალობს!..
მინდორი და ველი ჭეუბავის, ნაძი ბზინავს ათას ფერათ,
მსემაც თვალი გააჭეიტა, ამოვიდა მათ სამსერათ...
ჯინჭელები ველს მოედნენ, თითქოს რაღაც ჯოგიაო,
მოლალურცი გაიძახის ძაღლა: „ბიჭო, გოგიაო!..
ჭია-ღუა სარხოს ჭსიდავს, რომ გაავსოს თავის ბინა
და ფუტკარცი მიხუსუნებს უვაგილისკენ თაფლისთვინა!..
კაცი, მხეცი და ჩიტები უვლა საქმეს ჭკიდებს სელსა,
მეთევზეა—ბადესა ჭძლის და მუშაკი იქნეს ცელსა...
წამოდექით, ემაწვილებო, თქვენც ახსენეთ ღვთის სა-
სელი,
ხარბაცები ღმერთს არ უუვარს, წიგნს მოჭკიდეთ, აბა,
სელი!..

თ. რაფ. ერისთავი.



მობრუნება

(სურათები ჩემი უმაწვილობის ცხოვრებიდან.)



ჩემი სახლი კარგა დიდი ორ-სართულიანი სახლია, სდგას სედ არაგვის პირსედ, სოფ. მცხეთაში, და პირ-და-პირ გასცქერის ბებრის ციხეს, არაგვის სეობას და სამთარ — საფხულ თოვლიანს კავეასიანს მთებს.

ბებრის ციხესა და ჩემი სახლის შუა დიდი რიუვა; იმ რიუესედ მოდის არაგვი რამდენსამე ტოტათ და ერთი მათგანი ჭბანს შუდამ თავის წმინდა სვირთე-ბით იმ მბღალი კლდის ძირს, რომელსედაც სდგას ჩემი სახლი....

იმ რიუის ერთ კუთხეში ჰატარა ჭალაც არის. ჭალის მარჯვენა მხარეს დიდი ტეიანი მთა არის ამართული, მეორე მხარეს თვითონ სოფ. მცხეთაა და იმის იქით სულ მთები და მთები...

აი, ასეთი მშვენიერია ჩემი მცხეთა, ჩემო ჰატარა მკითხველო, და, თუ შენთვის არა, ჩემთვის მაინც, და აი, რისთვის: მე იქ დავინებადე, იქ დავინახე პირ-ველად მსე, იქ ვისრდებოდი ერთათ ჩემი სახლის

წინ დარგულ ნუშის სეებთან; იქ საფსულის მთვარის
ლაშქებში, გაგორებული ერთად ჩემ და-ძმებთან ბალ-
კონსედ გაძლილს სალიჩასუდ, მე ვისმენდი დედი-
ჩემისაგან ნაამბობ ზღაპრებს; იქ, და მარტო იქ, ჩამ-
ძინებია ტკბილად სასიამოვნო არაკვის მსუილსედ,
იქ, და მარტო იქ, გამიტარებია მძვენიერი საღამოე-
ბი ბოსელში, ჩვენ შიოსთან და სარებთან ერთად
ზღაპრების თქმაში, სამღერაში და სუპრობაში. იქ
ვიცნობდი ფოველ სეს, ფოველ სულს, იქ ეველასათ-
ვის ვიუბვი „ჩუენი სოსიკო.“ მის რიეესედ ბევრი
მიცელქნია, მის ჭალაში ბევრი შინდი და ძაყვალი
მიკრეფია, მის მთებსედ ბევრი მივლია და მისუნთქ-
ვია სუფთა, გრილი ჰაერი...

იქ მარნია ჩემი საწვალდი, კეთილი დიდ-დედა,
იქვე მარნია ჩემი საწვალდი შუთის წლის და, უმანკო
ანგელოზი, ჩუენი ოჯახის თვალი, უდროოდ დაჭ-
კნობილი ვეაჟილი, საბრალო ზაწია ტასო.

აი, ამიტომ მიუვარს მე მცხეთა და მასთან ევე-
ლა იქაური ჩემი თავგადასავალი, ჩემო ზატარა მკი-
თხველო, და, თუ შენ დრო და საღისი გაქვს, მიგ-
დე უური: მე მოვითხრობ სოლმე ხანდისხან ამბებს
ჩემი ემაწვილობის ცხოვრებიდამ...



I

კ ა კ ა ნ ა თ ი.

შუა სამთარია. კარეთ თოვლს და ძალიან ცივა, მაგრამ მე და ჩვენი ჰატარა ბიჭი, ვასუა, ამ ამბავს სრულიადაც არაფერად არ ვაკდებთ და, ბოსლის კარებთან ატუსუნნი, ძალიან გულ-მოდგინეთ უყურებთ ერთს ათიოდ ნახევრად დაგებულს კაკანათს. კაკანათი სრულიად დამალულია თოვლში, გარდა სამიოდ ჰურის მარცვლისა, რომელნიც ასსმულნი არიან ძაფსედ და ელიან ეძმაკ ბედურა—ჩიტებს. მოჭურინდება ჰატარა ეძმაკი ჩიტი, დანინახავს მარცვალს, მივა, ჩაჭკრავს, ჩაჭკრავს... კახ!... დაეცემა კაკანათი და დაეჭირება კისერში რკალი ჩვენ ჰატარა ჩიტუნისა.

ჩვენ სულ-განახულები უყურებთ კაკანათს ჰატარა ჭუჭრუტანიდამ.

ჩიტებმა დაიწვეს კაკანათთან მოგროვება. ერთი მათგანი გამოგოგდა კიდევ კაკანათისკენ, აუარ—ჩამოუარა მას, იზოვნა მის ახლო ორიოდ ჰურის მარცვალი და ერთ-ბაშათ ელაჭანი გაადინა. აი, დაუბარდა-პირდა კაკანათსაც და... ჩაჭკრე ერთი... ჩვენ სინარულინსაგან ეელში სისხლი მოგვაწვა, გულმა მაგა-მუგი დაგვიწყო.

„—მოძეცა“—იმხნის ვასიკო—„მოძეცა, საცა დაეცემა!“ და რაც შეუძლიან იჭეიტება ჭუჭრუტანა-

„—ვა...ა...სი...კო...ო...ო!“ — შეჭყვირა ვიღამაც ჩვენს ახლოს ერთი ისეთი, თითქოს ვასიკოს ნარიალბა გდაუვლიათ.

ჩიტები რასაკვირველია აფრინდნენ. ჩვენ ჯავრისაგან გულები დაგვწუდა და სიბრანისაგან მსათა ვართ ვიტროთ. გავისედეთ იქვე ახლოს — შეშებთან სდგას ჩვენი მოსამსახურე გოგო ანუა, კოკით სელში. ჩვენ, რასაკვირველია, მივხვდით, რომ ის იყო მიხეზი ჩვენი ჩიტების დაფთხობისა.

„—შე ამოსავარდნელა, შენა“ — ვუბნები ანუას — „რასე დაგვიფთხე ჩიტები, ა?.. ის იყო ჩაჭკრა კიდეს!...“

„—ჩაჭკრა?! არ ვიცოდი ღმერთმანი.“ იმანის ანუა.

„—არა—მარა და დარდუბალა, შე სმა გასაწვეუტო შენა!“ — მიაძახა ამ დროს ბოსლიდამ გამოსულმა ვასიკომ. — „არა, ისეთი რომ არ შეგებლავლა, არ იქნებოდა?“

„—სმაც გაგიწუდა და თვალებიც დაგიდგა, შე მანკაავ შენა!“ — ვასწი ე კოკით წუადი ამოიტანე, ორემ ვეტევი ქალ-ბატონსა!..“

ამ დროს ჩამოვიღის მამა ჩემი. ვასიკო წამოაფლებს სელს კოკას და გარბის წუალსედ.

„—რაო, რა ამბავია?“ — კითხულობს მამა ჩემი?

„—რა ვიცი“ — უბნება ანუა — „ერთი უოფა კი

დამაწიეს და! აქაო-და ჩიტები რათ დგვიფუთსეო, იმ
ზირ-გასამაგებელმა ვასიკომ წუეველით ამიკლო.

„—ეკ არის, კაკანათზედ იარე, შვილო, კაკანათ-
ზედ! ეკ გაცხოფრებს,აი!“—მეუბნება მამა ჩემი—„აჭ-
უოლისარ მაკ გიჟ ბიჭსა და მთელი დღე დასდევთ
ჩიტებს!“

ამ სიტყვების შემდეგ ის ჩივილის შინისკენ.

რასაკვირველია, მე შინდა ისე მოვიქცე, როგორც
მამაჩემს იამება, მაგრამ მეორეს მხრით ძალიან მიუ-
ვარს ჩიტების დეუნა და მზათა ვარ ეოველ თაჯისუფალ
დროს ვაფარჯიშო ჩემი გონება რომელიმე კაი მხნის
მოგონებაში, რომ უფრო ადვილად დავიჭირო კუდიანი
ჩიტები...

და ამიტომ, მამი ჩემის სიტყვების შემდეგ, ვდგე-
ვარ გამოცებული ერთ ალაგას და ვფიქრობ მასედ,
თუ რით არის ჩემი ამხანაგი ვასუა გიჟი და კიდევ
რანაც საშინელს „ცხოფრებაზედ,“ რომელსაც მამა
ჩემი მაგონებს ეოველ ცის-მარე დღეს...

ი. რევიშვილი.





ლომ-კანცი.

ჭიჭიანი

ყო და არ იყო რა
უძელესი ზეცით ღვთისა;
დედა მიწაზე არ იყო
უკეთესი სამის ძმისა.
უფროსს ვერკვას არჯუკანი,
შუათანასა — დასა-კანცი;

უმცროსი სამ ძმთაგანი,
სასელი მისი ლომ-კანცი.
ძათ ჭყვდათ მამა ჭადარა,
დასავსული ქარვის ფრისა;
სიკვდილს არა ეშუელარა,
ეუუდა მუდამ კერის ძირსა.

ნმა დავარდნოდ სოიულში
ბერ-კანცს გუდიანობის,
ელანარანათ შვილებში,
გზირი არისო რანაშის.
მეზობლებს ეთქვათ იმთავის,
ბერ-კანცი მგლითა დადისო;
საჭმელად რანაშისათვის
ქალ-ვაყებს გულებს აცლისო.
„ან თქვენის სელით მოჭკალით,
„ან გადაჭკარგეთ სადმოო,
„თორემ შემოვალთ და ცუცხლით
„ეველას გადაგვკავთ დამო!“
შვილებს ჭავრით არ ეძინათ,

მამა ეკონათ აკ-სული;
 ზური, ღვინო ბუერი ჭქონდათ,
 სმა, ჭამა დამწარბული.
 სამი ვაჟი, სამი შირ-მზე,
 ერთსელ წარსდგნენ მამის წინა:
 „— გული გვტკივა, მამავ, შენზე,
 რათ არ კვდები აქამდინა?“
 მამამ უთხრა თავის შვილებს:
 „— გერ მოკვდები მანამდინა,
 „სანამ არ მოლკეთ მთელს ჭვეუნებს,
 „არ დაბრუნდებით კვლავ შინა,
 „არ მომიტანთ ისეთს ამბებს,
 „რომ ვაკვირდე თქვენ თვალწინა;
 „არ გამიმართლებთ რცნებებს,
 „ჩამარხულსა გულსა შინა!“

I

ადგა აზვივან, წავიდა,
 მითულავს ჭვეუნის შარსსა.
 გზას სიარული მოსწყინდა,
 დადგა თავ ღია კარავსა.
 შესედა—კერა გაჩაღდა,
 დაინთო ტუცხლი ძრეილი;
 მოვიდა ქვაბი, ადულდა,
 დაიგლან ცხვარი მთიელი.
 აიქნა ნაწილ-ნაწილად,
 შიშინებს მწვადი ტუცხლზედა;
 კვარხხალბს ქვაბი ქათ-ქათად,
 მადან უღვიძებს ლანდზედა.
 „— თუ ენასე საგვირგელო რამ,
 „აქ ენასე, აბა, ეს არის;

„რატ გვითხრა მოსუცმა ძამამ,
„სულ აქ ასრულდა, ეს არის!“
მასშინძლობა უკეთესი
ენისაგან არა თქმულა;
დაქით ღვინო უძველესი
წინ მოერთვა, მასთან კულა.
შევეტა ნადიმობასა,
გასურა გულსა იამა;
უხინო მასშინძლობასა
მადლობა უთხრა წყლიანმა.
ადგა, შირ-ჰვარა იწერა,
ასსენა ღმერთი მალაღი.

—ძამა ყოფილა მის წერა,
„აწ ვი მოკვდება სწყალი!“
გამობრუნდა უფროსი ძმა,
მოადგა მამის კარებსა,
წინ შეეკება ორი ძმა,
ისმენენ მისგან ამბებსა.
ძამა ზის წვერებ-გაშლილი,
ჭრომალა თვალებს ანათებს;
წინათვე იცის, რომ შვილი
საკვირველს გერას უამბებს.

შვილი ძამას მიესალმა,
გადაჰკოცნა თვისი ძმები.

„—აბა, შვილო,“ — ჰკითხავს ძამა, —
„რატ გაიგონე ამბები?“

„—დავიარე მთა და ბარი...“

„ბოლოს ვნახე უცხო რამე:

„თავლია ქოხი, არც კარი,

„არცა სსვა ჰქონდა მას რამე.

„ფენი შეკდგი — განხდა ტყისლი,

„შემოიდგა ქვაბი წყლითა,

„ჩასწორდა ცხვარი ძიელი,
 „წინ მოძურთვა ზურ-ღვინითა.
 „არ გამოხნდა სულიერი,
 „მის მოქმედი არავინა.
 „გამიგვირდა. მე მშიერი
 „გაგქესი და მოველ შინა!“
 არ გაუგვირდა მამასა
 ეს ამბავი საკვირველი,
 შეავლო ხელი თეთრ თმასა,
 დაისწორა წვერი გქელი.
 უთხრა მან თავის შვილებსა:
 „—ქონია ჩემი ნაგები,
 „მე სავრებს არ მომიშვივებსა,
 „მლოცავენ და მითი ვრჩები!“

II

ახლა წამოდგა შვათანა,
 ახსენა ღმერთი შრიელი:
 „—უნდა შეეიტყო მისთანა
 „ამბავი რამ საკვირველი,
 „არ გაგონოს მამასა
 „და, რაცა გულში მას სწადდა,
 „ის აუსრულდეს წამასა!“
 ბებრი იარა ღამე, დღე,
 განვლო ურიცხვი მანძილი...
 ბოლოს გამოხნდა ერთი ხე,
 სამკედურისა სახრდილი.
 შვიდა ვაჟი სამკედლოს,
 მკედელი ჰკვირავს ლუსძებსა;
 რაში უბია სავრდემლოს,
 წინ უყრის ლუსძის საკვებსა.
 რაშია შვიის თერისა,

ფთქვენს და სჭექს, ვითა ქუნილი,
ახია რქა აღმასისა,
ანათებს სსივებ—მოსილი.

ვაყს უგვირს, ცხენი ლუსმანს სჭამს..

„—მოხვენება!“ ბუტბუტობს,
სად უშოვინა, ვისგან ჭყავს,
მჭედლისგან აძავს ტყობულაბს.

მჭედელსა დიდის ჯაფისგან
შუბლზედა ოთელი ასკდება;
გვერს შეახერებს სანდის-სანს,
უცხრა ვაყს ესაუბრება:

„—აქ ვარ უსსოვრის დროიდან
„მოსუცის გამოგზავნილი;
„გერ ვსტნობ, ვინ არის, საიდან
„ჩემი აქ წამომყვანელი?

„მსოფლად ეს ვიცი: ვიუავი
„ობოლი, ოსერ-ტილი;
„არ მქონდა სარხო, სამრავი,
„გეგდევი მშიერ—მწყურვალნი.

„უდაბურს ტყეში ვსტსოვრობდი
„ბაქარ მეფისა სამეფოს,
„მინდვრის მანტებსა ვშორობდი,
„იქ ვიმზადებდი წლის საზდოს.

„ერთსეულ დაღრუბლა, დაბინდა,
„ატედა ჭექს და ქუნილი...

„შევინდი მარტოობითა,
„შეგქმნ გიჟსავით ძანილი.

„ამ დროს გამოხნდა მხედარი,
„ოეთრ რაშსა მოაჭენებდა,

„ტანსა ემოსა აზვარი

„და რქიანს დეკსა მოსდეკდა.

„ესროდა ელვის ისრებსა,

„ბღაღდა სიმწრით ღვეილ;
 „მისი ბღაღელი იმ მოებსა
 „არუქვდა, როგორც ღველილ.
 „შიშმა დამსუთა მუსლებში:
 „იქვე დაკვარდი მიწასე,
 „ბინდი ხამკერა თვალბში,
 „გომნობა დაკვარგე წუთასე.
 „მოვიდა ბერი სიზმარში,
 „თეთრ-წვერს, ნათლით მოსილი
 „და მითხრა:—შვილო, ამ სრამში
 „რამ ხამოგაგდო ბედგრული?
 „ადექ, დაადექ შარასს!
 „წინ გიძღვის ხეში მადლილ;
 „იარე მთასა და ბარასა,
 „სანამ არ შეგვხედს სასლილ...
 „იქ შედი, რაში დაგხვდება,
 „უჭედე სარხით ღუსმანი;
 „შენ მისგან არ მოგაკვლდება
 „არც ჩანმა, არცა ღუკმანი!“
 „—გამომევიდა უეტრად
 „მზე დამცქერს, მხიარულია,
 „რცა მოწმენდილსა კაშკაშად,
 „ბუნება დიდებულია.
 „წამოგესტი ზესე, გზა ვნასე,
 „დავადექ მარტოდ მარტოდ;
 „ბუერი ვიარე დამე დდე,
 „ბოლას მოკედი აქა.
 „შემოკელ — რაში აბია,
 „წინ გრდემლი მარწუხებითა,
 „იქვე რკინები აწეია...
 „დაბურს საბერვლებითა.
 „მოკევე ღუსმანის ჭედასა,

„მივეცი რაშს საკეები;
რძის აქეთ რაშის ნებსას
რდავეევი, აღარ ვცილდევი.
რრაშს მე ვუვლი და ვგებებე,
რნაცვლად ისიცა მნატრონობს,
რფოვეარვარ, ნიადგ ვსედავ,
რუხემოდ არსად ნავარდობს.
რძსხედ ჯერ კაცი არ მჯდარა,
რმოელის თავის მსედარსა,
რდაჯორინავს თავის აქარა,
რერთ წამს მოივლის მთა-ბარსა.
რთვითონ შემოდის სამჭედლელს,
რზურ-ღვინით დატვირთულია;
რდავაბამ ვაკვით საგრდემელს,
რლუსმებით დაფურსულია.
რრაშისგან სარწო შეძლევა,
რყოვლისფრის უსრუნველათა;
რროგორც რამ გამომელევა,
რრაშს მოაქვს თავის თავათა.
რეს არის ჩვენი ამბავი,
რსაიდუმლოა მეტიო;
რბევრია ამბის მეითხავი,
რხალა მასუსი ერთიო:
რ—გაკლილი ბევრი მინასავს,
რგამოკლილი არავინა...
რძამინ შეიტყობ ამ ამბავს,
რრას წასვალ, ივლი სულ წინა!“
განცვიფრებული შეათანა
ჭიფიქრობს: „აჰა, საკვირველი!
რამ ამბავს წავიდუბ თანა,
რგნასყო რკინის მჭამელი!“

დილა გათენდა სვეტაგი,
 დღის წინა მობენაღია;
 მსემ ცას ჰგონა შუქის ნისკარტი,
 თავს დედა-მიწას ავლია.
 შორიდან მოდის ვაჟუცტი,
 უახლოვდება სახლ-კარსა.
 შინ სვდება მამა ბერ-კაცი,
 ელის საკვირველს ამბავსა.
 „—გნასკე, რა გნასკე“—უამბობს
 შვათანა მამას და მმათა—
 „მჭედელი გრდემლზე მჭედელობს,
 რცხენს უფრის ნაჭედს ლუსმანთა.
 „რაში იფოქვენს, ვითა ქუხილი,
 „რქა-სმული თავს აღმასისა,
 „იძისი ნასვის სურვილი
 „არ მოსწეინდება არ ვისა!“

არ გაუგვირდა მამასა
 ეს ამბავი საკვირველი;
 ხელი შეაკლავ თეთრ თმასა,
 დაისწორა წვერი გძელი.
 ძევე უთხრა თავის შვილებს:
 „—რაშია ჩემგან დაბმული,
 „ჩემს მეტი კერვინ ინებებს,
 „იგი ატაროს კასმული!“

III

გულში ჩაიგდო უძვროსმა
 შემოვლა მთელის ქვეყნისა;
 გაჭირვებაში განცდამა,
 საქმით თავს წავლა მამისა.
 ადგა, კარი გაიარა,

ისიც მისდევს ძმების კვალსა;
 თუკ, წელი ბეჭი იარა,
 ბოლოს მიაღვა ერთ სასლსა.
 რკინის რაკუნი მოისმის,
 სასლი სით დაწრდილულია;
 სთქვა თუ — „სამჭედლოც ეს არის,
 „შიგ რაში გრდემლზე ბმულია!“
 ვაჟია ალვის ტანისა,
 წვერ-ულვაშ ამწვანებული;
 რაშმა რა ნასა იქ ისა,
 დაფთქინა გასარებული.
 იამა ყრმისა შემოსულა,
 თითქოს ენახოს ზატრანი
 და განიზრახს მასთან სულა,
 მისცეს რჩევანი სარგონი.

ლომ-გაცი მჭედელს ჩაჭკითხავს:
 „რასა იქ, ეგ რა არიო?“
 მჭედელი ღუსმებსა სჭედავს:
 „— ეს არის ჩემი ვალიო!“
 „წასული ბეჭი მინახავს,
 იყველა კითხულობს ამბავს;
 „მოსული არვის უნახავს,
 „გორც მოესწრება მაგასო!“

ლომ-გაცს რაში მოეწონა,
 სთხოვა მჭედელს მარჩქო;
 ფიქრობს: „თუ ის დამეძონა,
 „ამისრულდება საქმეო!“
 მჭედელმა უთხრა: „— ნუ მთხოვო,
 „ჯერ გაცი რაშზე არ მჯდარა;
 „არ შეგსუდეს ბედი საგლოვო,
 „მომშორდი... ნუ მთხოვ... წა, კმარა!“
 „— სიტყვსლეს აღარ ვინატრი,

„რაში თუ ხეძი არ იქნა;
 „მაგასეუდ ჯდომას დავნატრი,
 „ხემთან უარი ნუ გინა!
 „არ მომცემ—ძალათ წავართმევ,
 „სიცოცხლეს დავანახებო,
 „თავსა მაგ გრდემლზე დავიმსხვრევ,
 „რასსა წავაგოგმანებო!“

ცხენმა საზარლათ დაფთქებისა,
 რა ესმა ვაჟის სიტყვები;
 მკედელზე წყრომა იწინა,
 ვაჟს შეანათა თვალები.
 მან ეს არაფრათ ჩაიგდო...
 შესწვიტა რკინის საბელი,
 რაში მინდორზე გაიგდო,
 ფაფარს წავულო მან ხელი.
 მოასტა ზურგზე მაგრათა,
 უთხრა: — „აწ, რაშო, ხეძი სარ!
 „ნუ გიყობ, იეპ წუნართა,
 „მწრუნველ—შატრონათ გარკვიარ!“
 რაში გამარას ავარდა,—
 ვაჟი მუცელს ქვეშ მოექნა
 და, როს ქვესუნელში ჩავარდა,
 ძაძინ კი ზურგზე დაეცა.

IV

ცხენსა კაცი მოეწონა...
 „აწ კი კმარა სიგიჟეო!“
 გულში სარობს, დაემონა:—
 „—რა შატრონი ვიძოვეო!“
 ცხენს მოეწონს თავი მხედროთა,
 ძიჭოფენს, მიგოგავს შარასა,

მხედარი შავის ნაბდითა
მიარხვეს ტანსა საროსა.
მხრებზე აქვს თეთრი ბაშლაყი,
წელს სანჯალი აღმსისა,
ხელში უჭირავს მათრახი,
უმსხლსი კაცის მკლავისა.

გადაიარეს მთა-ველი,
გავიდენ მწვანე მინდორზე...
აზოგნეს ერთი მტკაველი
აღვისა ტოტი ხის მოძზე.
ტოტზე ზურმუხტი ასხია,
მოართული მარგალიტითა,
მისგან მინდორი მნათია,
ვით ღამე ბადრის მთვარიითა.
დასწვდა ლომ-კაცი მიწასა,
მვირფასი ტოტი აიღო;
რამი ესვეწა კისკასსა:
„ტოტი არამცა წაიღო!
„მე არის ნივთი დევისა,
„შეგვამთხვევს გზაზე დიდ ჭირსა!
„რათ გინდა რამე ჯვისა?“
ემუდარება მხნე გმირსა.
ლომკაცი ჭირსა არ უფთხის,
უნდა გამოცდა თავისა;
რამის რხევითა არ იშლის,
თან მიაქვს ტოტი აღვისა.

მინდორი გადაიარეს,
მთა-ველი ათჯერ ათია,
აქრეს ფრთა უცხო რამ ნასეს,
ბუმბუელს აღმსი ჩაერთია.
შესწუხდა იმის ნახვითა
რამი, დიდ-გონიერია;

კმძავი მანქანებითა,
 იცის, რომ კაცის მტერია.
 ლომ-კაცსა ებუტბუტება:
 „— ან აიღო ოქროს ფრთაო,
 „გავნებს იმისი წადება,
 „მასე აწის კმძავთა!“
 ჩაგრამ იმ ფრთისა შვენებამ
 მოსტაცა თვალი... დასწკდება...
 ან გასჭრა რაშისა მცნებამ,
 ვერ დაუშალა წადება.

გზას სიარულმა დაღია
 მინდორი მთა და ველისა,
 დაღამდა... მოვარე ან ნათობს,
 ჯოჯოხეთით ბნელისა;
 უეტრად შუქის წერტილი
 მათ გამოუჩნდათ შორ ბნელსა,
 მიფრინვეს, ვითა ზეზელი,
 ან ცილდებიან ნათელსა.
 მიუხსლოვდნენ იმ მნათობს—
 მოკლენით საკვირველია:
 იქა ძვეს ვაშლი ოქროსი,
 მის ყარაულად გველია.
 ვაშლია შეწითლებული
 იაგუნდითა, ლაღითა;
 იმისგან ნათობს ყოველი
 არე მითთა და ბარითა.
 „— მოშორდი მაგა გრძნებასა,
 „ნუ გინდა ვაშლი ოქროსი,
 „თორემ ეწევი ვნებასა,
 „არის დეკების სატროფოსი!“
 ან დაიჯერა რაშისა

აზრ გავითხილებ, აზრ სიტყვა,
გველსა ჰკრა შუბი რვალისა
და ვაშლი ჟიბსს ჩაიდვა. . . .

V.

ლომ-კაცმა სამი ძვირფასი
ნივთი იშოვნა ჯილდოთა;
გულ-მსიარულებს კისკასი,
ახა, რა აქვს სადარდოთა?
რამი ფთქვენს, შატრონს უწერება,
ბეკრჯელაზ დაუგუნესია,
იტის, შავს ბედს აზ ასცდება,
ხსნას ჰეიქრობს, ვითა წესია.
სკვდამა რამი დაბურა,
მიჰუება სევის წყლის შირად;
მთებმა სეობა შქწურა,
შედ გადევარა ცა ფიცრად.
უხარამხარი სეები
კანაფათ დგანან ფერდებზე;
ძოქქისან ქვევით სეები,
შსივს სვრინან მიდმო კვდევებზე.

რამი შეუდგა მთის ბილივს,
ადის და ჩადის დაღმართსა;
ოფელისა სვითქი ტანსა სდის,
ხუნეშით შეივლის აღმართსა.
ბოლოს გამოჩნდა სათავე,
ქედებზე თოვლის ზვაკები.
რამმა და კაცმა ორთავე
აქ ნახეს სასასაკები.
თვით დასდგენ გადასაკალზე,
შორს ჩადრუბლულან ჭაღები,

ერთს მხარეს სერზე კლდოვანზე
მხეს გაწოლიან არჩვები.

ჩამოსდა დასასვენებლათ,
გზა აქვს წინ დაღმართ სავალი.
ლომ-კაცის შესაშინებლათ,
გამოხნდა ჰაწია ალი.

უცხო რამ ნახა ძვალ-თავი
კბილებს მოაკრავს უნებდა,
ხელთ ეპურა ჩანგი სამ ძაფი,
ზედ შაიშს დაძღვრებდა.

ძვლის ჩონჩხი იყო ნაკინძი,
ცხანს ხორცი შემოდნობოდა,
შესახედავთ ავ-ბილწი
სიკვდილათ ეჩვენებოდა.

ლომ-კაცმა ჰკითხა, ვინა სარ,
სამართო კაცის მძორიო,
ძვედრეთით ამდგარი როგორ სარ
მცხოვრები იმ სოფელურიო?

„მე შენ ჰასუს არას გეტყვი,
„სანამ თავი არ გიტდია;
„ვის მოუკლავს თეთრი დევი,
„ეს ძვლის თავიც მას უცვნია!“

დაღონებულა ლომ-კაცი,
შორს სიარულსა არ იშლის,
გულს დასობია მას ქაცვი
სუვდა ჯავრისა და ჭირის,
ჰსურს შეიტყოს საგვირგელო
მოკვლინება სმელის თავის;
უნდა გახდეს დევის მკვლელი,
მერე სიკვდილს არ ინაღვლის.
წამოხტა ზეზე მსედარი,
სახქართო შეჯდა რაშხედა;

სწრაფ გაიარა შიის კარი,
 ხეცა ჩაუყვა ხმაზედა.
 იარა ბუკნი, ზატარა,
 წაატყდა უნსო რამ აღაგს,
 სადაც ბაღია. გამარა
 ფირუზის ტისა ზედა სდგას.
 ბუნება აუვაკუბული
 ათას ნაირის ფერისა,
 სიმდიდრე მოზვაკუბული,
 ჩანჩქერნი სჩქეფენ ვერცხლისა.
 შვანგულ კოშკია ბოროლისა
 გარს გალავანი ოქროსი,
 კოშკს ზემოთ ტარი დროშისა,
 ფრიალებს ზედ ოქსინისა.
 დროშის ტარს ზემოთ გვირგვინი
 დიდისა მოქმედობისა
 თავს დასდგომია, ნაბრწყინი
 ძველებულ გამარჯობისა.

ქალაქი გაშენებულა
 დიდი თვალ გადაწვდენელი;
 ვინც ერთხელ იქა ყოფილა,
 კვლავ არის ნახვის მდომელი.
 სახლები მდიდრათ ნაშენნი
 ბოროლ-ფიქალ მარმარისა;
 შიკო გზები, რკინით ნაგებნი,
 სარბუნალი: ორთქლისა;
 ათასნი თვლებზე მორთულნი,
 შემკულნი სავარდებითა,
 მიჭქრიათ, ვითა შუქდულნი,
 გაგსილნი ქალ-ვაყუბითა.
 მაგრამ ლომ-კაცი განკვირდა,
 რა ჩასა სალხი შავითა.

ნეტაკ ასეთი რა სჭირდა
დიდებულს სანასავითა?!
ჩამოხდა, რაში დააბა
ქალაქის გარეთ უბანსა.
იქ შესვდა კაცი შავ-კაბა,
მას ჰკითხავს ქვეყნის ამბავსა:
რას ნიშნავს შავათ მოსილი
ხალხი მწუხარის სანისო,
მაშინ, როდესაც სვე-სრული
ცხოვრება მისი მიკვირსო?
მან უთხრა დაღონებითა
ქვეყნისა გარდასავალი;
რა დაემართა ძმობითა,
ან ვინ ჩაჰკიდა მას ბჭადი?

(გაგრძელება შემდეგ №-ში).



წ ა ა ტ ა თ ე მ უ რ ი შ ვ ი ლ ი .

გვიანი მეფის ირაკლის მეფობისა.

(გაგონილი ამბავი.)

მეფის ირაკლის მეორის დროს საქართველო დიდს განსაცდელში ყოფილა ჩავარდნილი, მაგრამ ხშირათ ისეთი გმირები გამოჩენილან აქ, რომელთაც თავიანთ მოქმედებით, სიმხნით სიქველით და ვაჟ-კაცობით ხალხის ბედი და იღბალი უტრიალებიათ.

ამ გვარი გმირები თითქმის ყოველს მხარეს ყოფილან საქართველოში: შართლში, ქახეთში, ჯაფახეთში და იმერეთში. ამათ უღვაწიანთ თავიანთ სამშობლოსათვის, და შრისტეს სარწმუნოებისათვის.

მეფე თეიმურაზ მეორე ბევრს ჰსცდილობდა რაიმე სარგებლობა მოეტანა თავის ხალხისათვის, რომელიც ჩავარდნილი იყო დიდ განსაცდელში; ამისათვის ის რუსეთისაკენ მიეშურებოდა ხოლმე დახმარების სათხოვნელად. ბოლოს, ღრმა მოხუცებული და ტანჯული თეიმურაზი, გარდაიცვალა რუსეთში. ამ მოხუცის შემდეგ გამეფდა ძე მისი ირაკლი მეორე (1747 წ.), რომლის მეფობა წარმოადგენს დაუვიწყარს და საკვირველს გმირულს დროს საქართველოს ისტორიაში. ირაკლის მეფობის დროს ბევრად გაუმჯობესდა საქართველო და მისი ერის მდგომარეობა, რადგანაც საეროსა და უფრო სამხედრო სამსახურს ამ დროს სულ სხვა კაცები განაგებდნენ.

ამ პირთა შესახებ და საზოგადოდ მეფის ირაკლის თანამედროებზე ძალიან ბევრი ამბებია დარჩენილი საქართველოს

ხალხში. ამათ ქებას აღრე ხშირად ჩვენი მოხუცებულებისაგან
გაგიგებლით ხოლმე. სხვათა შორის, აი რა ამბავია დარჩენილი
პაატა ტემურიშვილზე.

ირაკლი მეორის დროს საშინელი არეგ-დარეგა ხდებოდა
ხოლმე ჩვენს ქვეყანაში. რა შეიტყეს სპარსელებმა მეფე ტემიშ-
რაზის გარდაცვალება რუსეთში, ძალიან აღავლადნენ, რადგანაც
იცოდნენ, რომ მეფე ირაკლი უფრო რუსეთს უახლოვდებოდა.

ამ დროს სპარსეთის ყვინებმა საჩქაროდ გამოგზავნეს თა-
ვიანთი ვალები და დააყენეს საქართველოში, რომ მეფე ირაკ-
ლისთვის თვალი ედევნათ. ამ დროსვე იწყეს ნაფარლობა თათ-
რებმაც: საბარათიანო, საციციანო და სხვა მამულები სულ
ააოხრეს და გადასწვეს; ხალხი ამოჰხოცეს და საშუალება არსაით
არ უჩინდებოდათ. მთელს საქართველოში მოიფინა ხმა, რომ
სომხეთში თათრები ნაფარლობენ, ქრისტიანებს ხოცვენო. ამ
ამბის შეტყობამ მეფე ირაკლი ძალიან შეაწუხა, ასე რომ მისი
შეწყუხება მთელს მართლ-ძახეთს მოეფინა.

ამ ხანებში მეფესთან მოვიდა სოფელს ომონეთილამ ერთი
მოხუცებული კაცი, რომელმაც მოუტანა ამბავი, რომ ესა-და-
ეს კაცი თქვენთვის თავის შეწირვას აპირობსო და მასთან კი-
დეგ რამდენიმე სხვანიო. მეფე ირაკლიმ ეს თხოვნა შეიწყნარა
და მოხუცს უთხრა:

— წადი და უთხარ მოვიდეს დაუბრკოლებრივ!

პაატა ტემურიშვილს შეუკრებია თავის ამორჩეულები და
ყველანი წამოსულან მეფესთან. ირაკლის დიდის სიყვარულით
მიუღია ისინი და ჩაურიცხავს სამუდამო ჯარის კაცებათ.

ტემურიშვილზედ და მის ამხანაგებზედ ხალხს შეუთხზავს
ლექსი, რომელიც დარჩენილა სომხეთის მხარს სოფლებში:



პაატა ტემურიშვილმა მთელი მართლი შეჰყარაო,
ირაკლის წიგნი მისწერა: „ნეტავ შენთან გვატარაო!
საბარათიანო შეესძარ დიდიდან პატარაო,
მთუ მტერს ნასალი არ დავდოთ, მომკალ შენი ჰბატაო!



„საბარათოს გაზდილს ბიჭებს ქება ვასმინეთ შენო!
 „ჰსთქვეს: მასა ვენაცვალებით, მისთვის დაზდილნი ძენო!
 „თაფაღებისა სიმტყუენე, შეგჩივლე მე მათ ყველაო,
 „მათი ლალატი გლენებზე დღესა გამოჩნდა ყველაო!

„მუხრან-ბატონის მტრობამა სამეფო დასცა ძირსაო,
 „მღენები შალეებზე ცვაღეს, მეფე ცხარ ცრემლით ჰსტირსაო!
 „შენი მტრებისთვის ავჯანყდით გლენები შენი მტრისაო,
 „შთხარი, ეგენი ჰსთხრიან ირაკლი მეფის ძირსაო!“

არ გასულა დიდი ხანი ამის შემდეგ—მეფე მოემზადა სოფელ პატარძეულისაკენ გასამგზავრებლად, რადგანაც იმ დროს პატარძეულში ციხე დაქცეული ყოფილა და უნდოდა გაეახლე-ბინა. მეფეს, რასაკვირველია, ეახლნენ პაატაც და დანარჩენნი ხლებულნიც თოფ-იარაღით. ლაუახლოვდენ თუ არა პატარძეულის ციხეს, დაუნახავთ, რომ სოფელს შემორტყმიან ლეკები და შიგ ციხეში დამწყვდეულ ხალხს ხარჯსა სთხოვენ თურმე. მეფე და პაატა თემურიშილი თაფიანთი ამალით თავს დაესხმიან ლეკებს და წინ იფრენენ: ბევრს მათგანს მოჰკვლენ, ბევრს ქალაქისკენ წამოიყვანენ ტყვეთა. ბრძოლის შემდეგ იმ ციხილამ გამოასული ხალხი უამბობს მეფე ირაკლის, თუ როგორ ააოხრეს და აიკლეს ლეკებმა ის სოფელი და სხვ. მეფის ბრძანებით მაშინათვე დაიწყებენ იმ ციხის ახლად გამაგრებას.

ამ ციხის შენების დროს პატარძეულელ გლენებს შეუთხ-ზავთ შემდეგი ლექსი:

პატარძეულის ციხესა ლეკნი გარსა არტყიანო,
 სამი დღე-ღამ გარეშამო რკინით ძირსა უთხრიანო;
 მღლებსა გამოიყვანენ, ცრემლით დაჰხანენ პირსაო,
 მარტო პაატამ იფრინა სამოცი ლეკი მტრისაო!...

ირაკლიმ ბელადი მოჰკლა, ლეკი მწარეთა ჰსტირსაო,
სარდალმა და სახლთ-ხუცესმა გმირობა ჰქნეს ქვეყნისაო;
პაატა ტემურიშვილმა სისხლი დაღვარა მტრისაო,
მეფემა უბღლზე აკოცა ომისა გარდახდისაო!



ამ პირველის მაგალითით პაატა ტემურიშვილს დაუმტკიცებია მეფის ირაკლისთვის თავის მხნეობა და ერთგულება... პატარძელის ციხის აშენების შემდეგ (1758 წ.) მეფე დაბრუნებულია ქალაქში თავის ამალით და პაატა ტემურიშვილისათვის მიუნიჭებია უპირატესი ადგილი.

1778 წელში თბილისში ხმა გავრცელდა, რომ სოფელს მაშლოვანში თათრებმა დაიჭირეს და წაიყვანეს ერთი ქალი. ეს იყო თამრო. თამრო გათქმული იყო მთელს საქართველოში: კაცურს ტანისამოსით ხშირად ომშიაც იღებდა მონაწილეობას.

ამ ქალზედ ხალხს შეუთხზავს შემდეგი ლექსი, რომელსაც ტემურიშვილი ძალიან აუღელვებია:



მაშლოვანო, შემკობილოვ, ბოლნისო მეფის სოფელოვ!
მანდ რომ გმირი დავიკარგე, თათრებს შეკრული ვყვედრო...
თუ ბიჭები ხართ, მიშველეთ, დამხსენთ, თქვენი ტყვე ვარო,
სამი ღღეა მშიერი ვარ, ხელ-ფეხ შეკრული ვგდივარო!..



ეს ამბავი მეფესაც ჰსმენია. შეწუხებულია პაატა ტემურიშვილი და ნება უთხოვნია მეფისაგან იმ ქალის განთავისუფლებისა და ამისთვის ერთის კვირის ვადა უთხოვნია. ირაკლის მეტად მოჰსწონებია ეს გმირული წინადადება პაატასი და მადლობით ნება მიუცია ამ პატროსანი წადილის ასრულებისათვის.

ტემურიშვილი მომზადებულია თავის ამალით და წასულა შარაბალისკენ. ძითხვით მიუგნიათ ის ადგილი, სადაც თამრო ყოფილა დატყვევებული. მართ-ერთი პაატას ამალიდგან თათრულად ჩაცმულა და წინ-და-წინ შესულა შარაბალში. იქ ცხენის

ვაჭრობა დაუწყია და, როდესაც გაუგია თამროს ამბავი, მაშინვე დაბრუნებულა ამხანაგებისაკენ, შეუტყობინებია მათთვის ყველაფერი და იმავე ღამეს დასცემიან იმ თათრის სახლსა, საცა ეს საწყალი ქალი დამწყვდეული ყოფილა, სრულიად ჩუმათ ამოუწყვეტიათ თითქმის ყველანი; ჩვენი თამრო დაუხსნიათ და, მეორე თუ მესამე დღეს, თბილისში მფეფ ირაკლისთან მოუყვანიათ. მეფეს ძალიან გაჰხარებია თამროს ტყვეობიდან განთავისუფლება. პაატა მემურიშვილი და მისი ამალი დაუკოცნია და თავის ხელით დაუხაჩუქრებია დიდ ძალი ხორაგითა და ვერცხლით.

მრთხელ ღვით სარდალი და იოსებ მშვილდასი მეფის ბრძანებით მოემზადნენ სპარსეთის ყვინთან წასასვლელად და პაატა მემურიშვილიც თან გაჰყვა მათ. წასვლა იყო მისი და იქიდან აღარ დაბრუნება... ღაიკარგა სპარსეთში... იქაურებმა დაიჭირეს და მოჰკლეს, თუ ამ ზემო-ხსენებულ პირთ იბოროტეს—ეს არაფერ იცის. მხოლოდ, როდესაც მშვილდასი და ღვით სარდალი—სპარსეთიდან დაბრუნებულნი—მოვიდნენ, თქვეს:

— პაატა მემურიშვილი გზაზე დავჰკარგეთ. მგონი, არ უნდოდა იქით წამოსვლა... ჩვენ გავიფიქრეთ, რომ ის უთუოდ აქეთ დაბრუნდა!

ის ამბავი მეფე ირაკლის მეტად ეწყინა, ასე რომ კიდევ ატირდა... ბევრი აძებნინა შემდეგ მთელს საქართველოში, სამხეთში და სათათრეთში, მაგრამ ვერც პოვნით იპოვნეს და ვერც რამ სიტყვით შეიტყვეს რა მასზე...

ასე, აჰ გვარად, ეს გამოჩენილი გმირი, სამშობლო ქვეყნის და ხალხისათვის ერთგული კაცი, როგორც ამბობენ, მეფის კარის კაცების შურიანობის წყალობით დაიღუპა...





დედის რჩევა.

აჰა მყვანდა მეომარი,
ღზინი იყო მისთვის ომი;
დაამარცხა სჯულის მტერი,
მოკვდა მინდგრად, როგორც ღომი!

მამა მყვანდა მოჭიდავე,
არსად იყო მისი ცალი,
მავრამ ეხლა ფულავენობა
აღარა ღირს გროში ცალი.

მხლა მე ვარ... სამშობლოი
მიყვარს, მიყვარს ჩემი მხარე,
მავრამ იგი მე, პატარამ,
შერაფრით ვერ გაეზარე!

დედას ვკითხე ამაზნელა
და მან მითხრა: „— გენაცვალე,
„თუ გსურს მამული ახარო,
„სწავლას მიჰყავ ხელი მალე!

„მიჰყე სწავლას: ის გაჩვენებს
„რაც სჭირია შენს მამულსა;
„ნუ დაჰზოგავ მის გულისთვის
„ნურცა ჯანსა, ნურცა ფულსა!“

მომეწონა ეს პასუხი—
მასვე ჰკრძობდა ჩემი გული...
აწ ვეცდები სამშობლოსთვის,
მინამ მიღვა პირში სული.

ჰე, ბიჭებო, დაუტიოთ,
იწყეთ სკოლას სიარული;
ხელში ექონდეთ ყავარჯენათ
მამულისა სიხარული!

მაშ ჩვენ ქვეყნად რას ვაკეთებთ,
ბანა უნდა ვიმასხაროთ?!
ღმერთო ისე ნუ დაგვხოცავ,
ჩვენი მხარე არ ვახაროთ!..

ი. წიგნაძე.



გეოგრაფიული წერილები.

წერილი ზირველი.

(კახეთი.)

საყვარელო ძმაო და მეგობარო ვანო!

ძლივს შეძისრულდა ჩემი გულთადაი ნატვრა—კახეთის ნახვა: ამ უმად მე ტურთვა კახეთში ვარ! რამდენი, რამდენი ხანია, რაც მე განვიზრახე კახეთის ნახვა!... გასსოვს, ძმაო, მე და შენ რომ ზირველად განვიზრახეთ ჩვენი ქვეყნის მთლად გაცნობა — ჩვენის თვალთ ნახვა ჩვენის ტურთვა სამშობლოს ეველა გუთხეებისა და ამსთანავე — მისი კარგათ შესწავლა? გასსოვს როდის, რა გარემოებამ მოკვიყვანა ჩვენ ეს, ყოველის მხრით სასარგებლო, ჭირთი თავში? —

ეს იყო 187... წელში, როდესაც ჩვენ სეოლის სკამზედ ვისხედით და ერთმა ჩვენმა მსწავლეებულთაგანმა გვიამბო ორიოდე ამბავი საქართველოს ისტორიიდან, სხვათა-შორის, ზოგიერთთა შესანიშნავს ადგილებზედაც, იმ ადგილებზედ, სადაც ჭეკარებიან დროების გატარება და ცნობრება საქართველოს მეფეთ, სადაც მათ უშენებიათ წარჩინებული და უზარ-მაზარი ციხე-ქალაქები, სასახლეები და ტაძრები!... ჭწორეთ მამინ აღიმარ ჩვენს გულში მამულისადმი წმინდა, გულ-წრთელი სიყვარული და ჩვენთ დიდებულთ წინაშართადმი ზატვის-ცემ; მამინ განვიზრახეთ ჩვენ გაცნობა ეველა იმ ადგილებისა, სადაც უცხოვრით ჩვენ წინაშართა...

სამი კვირას, რაც მე და შენ ერთმანერთს განვშორდით: შენ წახველ იმერთს, მე წახველ კახეთს. ოჲ, ძმაო, რა ძნელი ყოფილა შეჩვეულის და გულთადის ამხანაგის დაშორება! რა ძნელი ყოფილა დაშორება იმისი, რომელსაც შენ რამდენიმე წლის განმავლობაში

განუზიარებდი შენს გრძნობასა და აზრებსა, რომელსაც უნახევრებ-
დი ჭინსა და ლხინსა, რომელთანაც გაერთებული გქონდა სული და
გული! მაგრამ რა საჭიროა ამასევე შენთან ღაპანრაკი, რომელსაც,
დარწმუნებული ვარ, შენი გულიც ამასვე ჭგრძნობს, რასაც ჩემი...


მე ვინუგეშებ თავს იმით, რომ ჩვენი რამდენიმე ხნის განშე-
რება უნაყოფოდ არ დაჩნება, ორთავეს სარგებლობას მოგვიტანს:
შენ გაიციელებ და გამაცნობ იმერეთს, მე გავიცნობ და გავაცნობ გა-
სეთს და ამ ნაირად ერთმანეთის დახმარებით, ერთს დროს, ჩვენი
ქვეყნის ორს ნაწილს გავიცნობთ და შევისწავლით. შემდეგ,
საქართველოს სხვა კუთხეებსაც გავიცნობთ და, რა კი შესწა-
ვლული გვექნება კარგად ადგილ-მდებარეობა ჩვენი ქვეყნისა,
მაშინ თამამად შეგვიძლიან სული მიუჭყლოთ ჩვენი სამშობლოს
ისტორიის შესწავლასაც... მაგრამ წინ რას გავრბივარ, და-
ვანებოთ ჯერ ამებს თავი.

ამ წერილით მე გაცნობებ, რომ ესლა მე გასეთში ვარ-მეთქი
და მოგატონებ ხოლმე ჩვენს-შორის დადებულს ზირობასა, ჩვენს
მიზანსა და მეორე წერილში ადგილწერ გასეთის მდებარეობას საზო-
გადოდ და შემდეგს წერილებში-კი კერძოდ ყველა შესამჩნევს ადგი-
ლებს, ყოვლის მხრით, რამდენადაც შესაძლებელი იქნება.

იყავ მშვიდობით. იმედი მაქვს შენც ძალე მომწერ წერილსა.

შენი ძმა და მეგობარი რ. ვახნაძიანიელი.

თელავი.
15 გიორგობისთვის.



წერილი მეორე.

საყვარელო ძმაო და მეგობარო ვანო!

სწორედ ორი კვირა შესრულდა, რაც პირველი წერილი მოგწერე და, აი, ესლა მეორე წერილში ვასრულეუ ჩემს დაზირებას და უნდა გაგცნო საზოგადოთ ვასეთი.

მაგრამ რადგანაც „ვასეთი“ შესდგება რამდენიმე ნაწილისაგან ან მასწავლებლის, ამასათვის ჯერ ერთს მასწავლებლობა, სასკოლოებო თელავისას ან, როგორც ესლა ეძახიან, „საკუთარს ვასეთს.“

თუმცა, საყვარელო ამხანაგო, ამ წერილს ცოტა „სიტყვასწორად“ აკლდება, რადგანაც აქ ვასეთის სამზღვრებასა დაზირება, მაგრამ რა გაეწეობა: უსამზღვროდ ქვეყნის ვაცნობა და აღწერა შეუძლებელია და შენც იქონიე მოთმინება და გულ-მოდგინედ ჩაიკითხე ეს წერილიცა. იმედი მაქვს სულ-მოკლეობა ან დაგძლევეს და უურადალებით მოისმენ, რასაც მოგიტხრობ. ვიწყო ვასეთის აღწერასა.

თელავის მასწავლებლებს: ჩრდილოეთით ვაკვასიის მთა-გრესილი, დასავლეთით—ციხ-გომბორის ქედი; სამხრეთით—ციხ-გომბორის მთა-გრესილი, რომელიც ჭყოფს შიგნითს-ვასეთს ვასეთისგან, აღმოსავლეთით—ვაკვასიის მთა-გრესილი და სიღნაღის მასწავ (სოფ. ძუკუხანი და ვასეთისანი-ვასაღი.) გული ვასეთისა (ვასანისა) სამას მხრით შემოზღუდულია მთებით. ამ მთების იფრ-დობ-ვასეთებსედ და ურეებსში შეფარებულნი არიან ვასეთის სოფლები. მთები შუამდინ შემოსილნი არიან სშირის და მრავალ-ვასანის ტყითა, რომელიც სავსეა სვავ-და-სვავ ნადირითა და იფრინველითა.

ვასეთს ჭყოფს მდ. ვასანის ორ ნაწილად: მარჯვნივ მდებარეობს ვასანის—მასწავ, მარცხნივ ვასანის-მასწავ. ვასანის-მასწავ უფრო

მდიდანია, როგორც ხაღსით, აგრეთვე ბუნებითაც; ხოლო გამოდმა-
მისის მოსავალი — შურს და ღვინო — სიკეთით უკეთესია გაღმა-მისის
მოსავალზე. თვით ალანის ნაპირები შემოსილია სპირის ჭაღითა,
რომელშიაღ ჰბუღებს აურებელი გუნდი ხობისა. ბუნება ამ მხარე-
ში ფრად მდიდანია: რომ იტყვიან — „ღმერთს თავისი უსვი კალთა
აქ დაუბერტვიან“ — სწორედ კასეთია. რომელი მცენარე, რა გვარი
სე, რა ნაირი ფრინველია, როგორი მღებარეობა და რა ხასიათის
სურათი გინდა ბუნებისა, რომ კასეთში არ იყოს! ტყუილათ ვი არ
უწოდან ერთმა წარხინებულმა ქართველმა (არსიანდრიტი ტარასი
აღუქსევე-მესხიშვილი) კასეთს „შვედური სამოთხე.“

სწორედ უნდა გითხრა, კასეთისთანა მშენიერი მხარე არა
მოხიან დედა-მიწის სურგზედ სსვა კიდევ იყოს. თვითონ კასელები
არაინ „გუგაღი, შურადი, მებრძოლი შავის ბედისა“... „იგივე მხნე, იგივე
მღერადი, მოყვარე თავის მიწისა“... ზომ გავიგონია, ძველადვე ნათ-
ქვამია: „ომი და ღვინი კასისა მოსაწონია კაცისა“...

ამით კათაგებ მოერე წერილსა. მე თელავში ვარ და შემდეგს
წერილში ადგიწერ თვით თელავს. იყავ მშვიდობით!.. მოერე წერი-
ლამდის!

შენი ძარადის ერთგული რ. ვახანძიანელი.

თელავი
30 გორგობისთვეს.



მ ბ რ ე ლ ი

I



ქვენ იცით, ჩემო პატარა მკითხველებო, კოშკი რა არის? ზოგს იქნება გენახოსთ და ზოგს კი უეჭველია არ გინახავსთ და ამისთვის ავიხსნით.

უწინ, როდესაც უფრო მომეტებული ში-შიანობა იყო ხალხმე, როდესაც ხალხი ერთმანეთთან ისე მშვიდობიანად ვერა ჰსცხოვრობდა, როგორც ეხლა, საჭიროდ ხედავდნენ ისეთი შენობა გაეკეთებინათ, სადაც ძრიელის მტრებისაგან თავის დაფარვა შესძლებოდათ.

ამისთვის იკეთებდნენ ხერელებს, ხერეტდნენ კლდეებს, აშენებდნენ გალანებს და სხვა.

კოშკებიც ერთი ამ გვარ შენობათაგანი არის და აკეთებენ მაღალს, ძალიან მაღალს—ან რგვლად მოყვანილს, ან ოთხ კუთხა შენობას.

უწინ, აი, ამისთანა შენობაში მტერს ემალებოდა ხალხი; მაგრამ ეხლა კი კოშკების უმეტესი წილი ცარიელები ყრია და შიგ სხვა-და-სხვა ფრინველები ბუდეებს იკეთებენ.

ჩვენს სოფელშიაც ერთი ამისთანა კოშკი იდგა, რომელშიაც ხალხი აღარ სცხოვრებდა.

მხოლოდ განთიადის დროს, რა წამს აღიონი აიწედა, მოისმოდა წყნარი, ტკბილი და აღერსიანი ღულუნი და, ცოტა ხანს შემდეგ, გამოჰფრინდებოდნენ ლამაზი, სხვა-და-სხვა ფერის

მტრედები. ზოგი მათგანი გაეშურებოდა საქმლის მოსანახლად და პირით მოჰქონდა თავისის ბარტყებისთვის, ზოგსაც პირითვე მოჰქონდათ წიწკები, ჩხირები და თივა, რადგანაც ისინი ჯერ ახლად იყვნენ დაფრენილები და ბუდის გაკეთება ეჭირებოდათ. ზოგნიც ნაზად ეალერსებოდნენ თავიანთ საყვარელს ბარტყებს, ერთმანერთს კისერ გადახვეულნი ნაზად ჩაღულუნებდნენ.

აშკარად ეტყობოდათ, რომ ისინი ბედნიერები იყვნენ, მათ მშვიდობიანობას ვერვინ არღვევდა და სინარულით ეგებებოდნენ მზის შბრწყინვალე სხივებს.

ზოგს კიდევ გაეშალათ ფრთები და მალლა, მალლა აფრენილიყვნენ, სადაც დაჰფრინავდნენ და ნავარდობდნენ, ერთი მეორეს მისდევდნენ და ზოგნიც მალაყს გადადიოდნენ. ხანდისხან, როდესაც ფრენის აჩქარება უნდოდათ, ისე ძალზედ იქნევდნენ ფთებს, რომ ერთმანერთს ხედებოდა და ტაშის ცემის ხმა გამოისმოდა. მერე ბურთსავით შეიკვრებოდნენ, და ფრთა-შეკრებილნი შურდულსავით წამოვიდოდნენ თავ-ქვე თავის კოშკისკენ, რომელსაც, დაუნლოვდებოდნენ თუ არა, ერთბაშად რამდენჯერმე გაშლილის ფრთებით ჰაერში იმ გვარად მოუხვამდნენ, რომ ჩქარა სიარული შეეყენებინათ და კოშკს მაგრად არ მოხვედროდნენ.

კოშკის კარები ხალხს ამოეკალა, რადგანაც ამ მშვენიერს ფრინველებს თავი იქამდის შეეყვარებინათ, რომ მათს აღშფოთებას დიდს ცოდვათ ჰსთვლიდნენ; პატარა ბაშეებს-კი თვალი სულ იმათკენ ეჭირათ და გულით უნდოდათ მათი წვალება, რომელსაც ისინი აღერსს ეძახდნენ.

მტრედები ამათგანაც დაცული იყვნენ, რადგანაც, როგორც ზევითა ვსთქვით, კოშკის კარები ამოქოლილი იყო და სხვაფრივ მათთან შესვლა სრულიად შეუძლებელი ხდებოდა.

მართალია, ამ ნაზს და საყვარელს ფრინველებს ქორი, მათი დაუძინარი მტერი, გამოაერეოდა ხოლმე, მაგრამ ბევრს ვერას აკლებდა, რადგანაც მტრედებიც მარდები იყვნენ და ქორს ზეიდგან მოექცეოდნენ და ისე მალლა წაედიდოდნენ, რომ მათი მტერი

იმ სიმაღლეზედ ვერ ასულიყო და შერცხენილი უნდა გაბრუნებულყო საითკენმე, ან არა და, თავიანთ კოშკში ჩაეპაღებოდნენ და, სანამ განსაცდელი ასცდებოდათ, იქ ისხდნენ.

მაგრამ ეს იყო ზაფხული, როდესაც მთელი ბუნება ხარობს, როდესაც მიწას ზურმუხტის მზგაესი მწვანე საფენი ეკინება და ათას გვარ ფერადოვანის, კიკლუცის და სურნელიანის ყვავილებით იმკობა; ის დრო, როდესაც ყველა მცენარე, ყველა სულდგმული ხარობს, იცინის, ხურდება და წყაროს ნიაგთსულს იბრუნებს და რაღაც სახარულით გულს უთამამებს, უღაღებს. საერთო მხიარულება და ხარხარი, საერთო დროს გატარება შეიცვალა, რადგანაც მოწმენდილი ცა შეიკმუხნა, მზის სხივებს მოაკლდა სითბოება და ჩქარ-ჩქარად ღრუბელში მღვდა დაიწყეს. შოგვო დღე ჰაერი ირეოდა და მთის წვერებს შავი, სქელი ნისლი ნაღვლიანად ჩამოაბნელებდა. ბალახმა ფერი იცვალა და მხიარულის მწვანეს მაგერ დანაღვლულსაგით გაყვითლდა, გახმა და მოიფშენიტა. ლაზათით სავსე შემოიღოს ხეებს ფოთლები ჩამოჰცვივდა და გაშიშვლებულნი მტრისაგან გაცარცულს დაემგზავსნენ. ღაპბერა ჩრდილოეთის ცივმა ქარმა და ყოველის ფერი მოაყინულა. ბუშების საერთო სურათმა ფერი იცვალა: კაცის თვალის დაჰყვავებელი სევდის მომცველად შეიქნა; სიტყვით—ზამთარი ახლოვდებოდა. ქველა ფრინველები, გარდა „ქკებისა“*), რომელნიც ავდრის წინა-მოარბენნი არიან და ჰაერის არევასთან ერთად ისენიც ირევიან და უსიამოვნოს ჩხავილით, ისეც სევდიანს გულს, მოძეტებულს სევდას ახვევდნენ.

ძიღვე რამდენიმე დღის შემდეგ, ცა ტყვის ფრად მოიქცა და ხან-გამოშვებით ქონვა დაიწყო. მარი უბერაგდა ძალზედ, შტევენით და ზუზუნით, თითქოს რაღასაც ემუქრებოდა, უბედურებას ექაღდა.

მრთბაშად ქარი შესწყდა... ჩამოთბა... ჩამოვარდა თოვლის

*) ჭკა მიემგზავსება ყვავს, თუმცა იმაზედ ცოტათი ჰატარაა; ფენები და ნისკარტი წითელი აქვს, სისხლის ფერი და ხმა უფრო წვრილი, უსიამოვნო და ძრიელი.

ფერფლი... მოჰყვა მეორე, მესამე და დაიწყო თოვლის გუნდ-
გულათ სროლა. რამდენიმე წამში მთელს დედამიწას — მთას, ბარს
და ხეებს — თეთრი ზეწარი გადაეფარა. რამდენათაც თოვლის
მოსვლის წინა დღეები მთაში საძაგელია, იმდენად სასიხარულო
და სასიამოვნოა პირველი თოვლი, რომელიც ურიცხვს „ყურ-
ვილებს“*), კაკებს, შურთხებს და ჯიხვებს ჩამორეკს ხალმე
მთის წვერებიდან.

ბალები დარბიან, ყვირიან, ესერიან ერთმანერთს შეკუმ-
შვილს თოვლს, ხარხარით გორაობენ, მთლად გაღურჯებულ-
ნი არიან, მაგრამ შინ წასვლას მაინც არ ჰფიქრობენ.

ბალებმა გამართეს მახეები, გადაშალეს თოვლი და ისე
ჩადგეს, რომ ჩიტები ადვილად მოტყუებულობენ. ზედ ცოტა
სასუქ-ც მოაყარეს, რომ იმის სიმხურვალეს თოვლი გაედნო და
შავად დარჩენილს ადვილს ჩიტები მიეზიდა და დაეწყოთ ჩვეულ-
ბისამებრ ქექა, რომ შიგ უფრო ადვილად გაბმულობენ.

ზაიარა ცოტა ხანმა და მოტყუებული ჩიტები ასობით მიეზ-
ვენენ იმ ადგილს, სადაც შავად მოჩანდა. ჩაერვივნენ ჭკები,
მტრედები, ყურვილები და მსუნაგად დაიწყეს ქექა. მართს წამს
შეძევ გაფრთხნენ, მაგრამ რამდენიმე ყურვილა და ერთი მტრე-
დი იმავე ადგილს დარჩნენ, რადგანაც მახეში გაბმული ფხები
ველარ გამოჩნსნათ და იმათი მოცადინება მარტო ფთხრილის
თადებოდა.

— დილილქე! — სიხარულით წამოიძახა ერთმა პატარა ბიჭმა
და გაეკანა მტრედს. — დავიჭირე, დავიჭირე!
იმას გამოუდგნენ სხვა ბიჭები.

ზაგლა — სე ეძახდნენ მანის პატრონს — მივიდა, გამოსხნა
მტრედი და ალერსიანად დაუწყო კოცნა და ხელის დასმა.

— ზეაჩვენე, გეაჩვენე! ეხვეწებოდნენ მტრედის პატრონს სხვა
ბიჭებო, მაგრამ ზაგლა პათიოსანს ფრინველს ვერა სთმობდა და
სიყვარულით ხან ყელში იკრავდა, ხან ლოყაზედ. საწყალ მტრედს-
კი შეშინებოდა და გული ძალზედ უფართხალებდა.

*) ყურვილა ბეღურას ოდენი ჩიტია.

— ში, საწყალი!... ბული როგორ უცემს—წარმოსტკე-
ბივლამ, რომელმაც მკერდზედ ყური დაადო მტრედს.

— მაჩვენე, მაჩვენე, რაია?

— აჰა!.. არ გაგიფრინდეს—კი!

— არა, ბეჩაე!... ბანა პატარაი ვარ!...

მტრედმა გადაცემის ღროს გაიბძოლა, მაგრამ ბივლამ ძალ-
ზედ მოუჭირა ხელები და იმედ გადაწყვეტილი, შეშინებული
მტრედი „გაჩქურდა.“ *)

ბივლამ წაიყვანა მტრედი, ჩასვა კალათაში და მთელი ზაღ-
თარი ისე ჰყვანდა.

II

ბაიარა ცივმა და ყინულიანმა ზამთარმა, თოვლი წყლად
იქცა და მთებიდგან ჩამოიწურა. მზემ ისევ მხიარულად გამოი-
ხედა, გადმოჰფინა თბილი სხივი და ზამთარში მიძინებული, და-
სუსტებული მცენარენი გამოიღვიძა. ჰაერში დატრიალდა ზაფ-
ხულის სუნის და ბუნებამ გაიღვიძა. ამწვანდა ისევ, ყვავილები
ისევ გადიშალა, შეხამდა სხვა-და-სხვა ფერად და კეკლუცად, ნა-
ზად, თითქოს რიდასიცა რცხვენოდათ, კეკლუცად თაფები მოე-
ხარათ...

შველაფერი ხმაურობდა, ყველგან რალაცა მხიარულება,
სიცოცხლით სავსე ხმაურობა ისმოდა. ჩიტები ჟღიჟღივებდნენ,
გალობდნენ, უსტვენდნენ, თითქოს ბუნების ძალას ქებას ასხამ-
დნენ. შვეილები ცხოველების საერთო სიცოცხლეს უკან არ ჩა-
მორჩნოდნენ—თავიანთის სურნელებით გუნდრუკს უკმევდნენ.

ქაშკაშადაც ისევ ტკბილი ლულუნი გაისმა და მტრედები
წყვილ-წყვილად გამოდიოდნენ, რომ ბუნების მშვენიერებით დამ-
ტკბარიყვნენ.

მარტოცა ერთი მტრედი არ იღებდა სევების მხიარულებაში

*) გაჩქურება ხეუდად ნიშნავს—განაბას, თუმცა ამ სიტყვასაც ხმა-
რობენ.

მონაწილეობას. ის გაცალკევებულიყო, გასულიყო მარტოდ და დაღონებული, მობუზული კოშკის ნაპირაზედ დამჯდარიყო. იმისთვის არც ამხანაგი, არც ტოლი, არც მხიარული ღულუნი და სხვა მტრედთან შეაღერსება, თითქოს იმ თაბუნს სრულიადაც არ ეკუთნოდა, არა ჰქონდა მათთან საქმე და თავის საკუთარი ვარამი გასჩენოდა: დაჯდებოდა მოჰბუზული, აიბურძგნიდა ბუნბულს, აიშვერდა ერთს ფეხს და თვალეზ დახუჭული მთელის საათობით გაუნძრევლად რჩებოდა.

მე აფრინდებოდა, იმის მოძრაობა იყო წყნარი, დადუნებული და მხოლოდ საკვების მოსანახად. ის არც მალლა წაფილოდა, არც ნაფარდობდა სხვა მტრედებსავეით, არც შორს მიდიოდა: თითქოს ყველაფერი მოჰსწყენოდა. მივიღოდა წყლის დასალევად და ისევე მაშინვე მოჰფრინდებოდა, რომ არჩეულს ადგილზედ დამჯდარიყო და მისცემოდა ჩვეულებრივს განსვენებას.

მრთს დღეს ზიგლამ თავის სახლის ბანზედ გამოიყვანა იმ ზამთარს დაჭერილი მტრედი, შეება თოკი ფეხზედ, მეორე წვერი მოაბა ბუხარს და, მთელი ზამთრის ტყვეობის შემდეგ, ასე დააგლო ჰაერზედ. მტრედმა რამდენჯერმე გაშალა ფრთები, შეიბერტყა და განარბებულმა გაფრენა დააპირა, მაგრამ იმავე წამს ისევე ჩამოვარდა, რადგანაც თოკმა არ გაუშვა. ჩამოვარდა და დაღონებით დაიწყო წყნარად სიარული.

ქოშკი, რომელშიაც მტრედები ბუღობდენ, ძალიან მალალი იყო და მთელს სოფელს თავს დაჰსცქეროდა.

მრთბაშათ კოშკზედ მყოფი მტრედი შეინძრა, საჩქაროდ გადმოეშვა სიმალიდგან, რამდენჯერმე ფრთა ფრთას შემოჰკრა და წუთზედ იმ ბანზედ მოვარდა, რომელზედაც დაბმული მტრედი იყო.

შეკველია, იმათ იცნეს ერთმანერთი, რადგანაც პირველსავე შეყრაზედ ერთმანერთს ტკბილად შედღულუნეს, და ნისკარტებით ერთმანერთს მიუახლოვდენ. აშკარად ეტყობოდათ, რომ ისინი, დიდი ხნის უნახავობის შემდეგ, ხელახლად შეყრას ხა-

რობდენ. ახალ მოსული მტრედი ტრიალებდა, იბრუნებდა კისერს, როგორღაც სხვანაირად ღულუნებდა და ამ ღროს ღაბაბი ებერებოდა.

ძარგა ალერსის შემდეგ, ახლად მოსული მტრედი აფრინდა, მაგრამ სრულიად სხვა რიგად, სანამ უწინ. მხლა იმას ძალა, იმედი, სიხარული ეტყობოდა.

ღაბმულმა მტრედმაც გაყოლა მოინდომა, მაგრამ თოკმა ისევ დაიჭირა და უკან ჩამოაგდო. ახლად მოსული მტრედი ისევ მობრუნდა, ისევ დაუწყო ალერსი და ღულუნი, თითქო გასაქცევად აქეზებდა.

ღაბმულმა მტრედმა რამდენჯერმე ჰსცადა გაფრენა, მაგრამ ეს მოცადინეობა მუდამ ამაოდ რჩებოდა, რადგანაც თოკი არ უშვებდა.

მტრედმა უკანასკნელად სცადა აფრენა, მაგრამ დაკვლაქილი თოკი როგორღაც მოედო კისერზედ და წაუჭირა ყელში.

მტრედმა ფართხალი დაიწყო და ყოველ განძრევაზედ თოკი უფრო ეჭირებოდა, სუნთქმას უშლიდა.

თავისუფლად მყოფი მტრედი გაეჭანებოდა, თითქოს შველა უნდოდა, მაგრამ მეორე მტრედის ფართხალი აშინებდა და უკან იწევდა.

ბოტა ხანმაც გაიარა და თოკმა ისევ წაუჭირა მტრედს ყელში, რომ საწყალი გაჟრჟოლდა, რამდენჯერმე გაახილა დახუჭვილი თვალები, თითქოს უკანასკნელად უნდა დამტკბარიყო თავის მეგობრის ხილვით, რამდენჯერმე გაალო პირი და სული დალია.

მეორე მტრედმა ბევრი უღულუნა, ბევრი უარა გარს, რამდენჯერმე ნისკარტით მისი აყენებაც კი ჰსცადა, მაგრამ ამაოდ.

ამ ღროს ამოვიდა ბიგლა, ნახა თავისი მტრედი დამღერხალიყო და ტირილით ჰსურდა მოებრუნებინა, მაგრამ ტყუილად.

ამ დღის აქეთ ხელ-ახლად დაობლებული მტრედი იმ ადგილს აღარ შორდებოდა, სადაც მისმა მეგობარმა სული და-

ლია. მხლა ეს მტრედი უფრო დაღონებულიყო, უფრო და-
ზარმაცებულიყო და თითქოს სიცოცხლეს - კი მოსწყენოდა.

საქმელ-სასმელი არ აკლდა, რადგანაც ზაფხული იყო, მაგ-
რამ იმას არა ემატებოდა რა და დღითი-დღე სუსტდებოდა, სდნე-
ბოდა და იღეოდა. შოველი იმისი მოძრაობა თითქოს ძალ-
დატანებული იყო.

ასე ატარებდა თავის სიცოცხლეს იმ დღემდის, სანამ ბედ-
მა არ შეიბრალო და მწყუხარება სიკვდილით არ მოუსპო.

ა. მოჩუბარიძე.



მ ა რ ი ნ ე

(სალსური ლეგენდა დახვეწით საქართველოში თქმული.)



სმ-კამ სიცილით ამოჯეო მთის უგან უური მთვარემა და მას სალამი მიუძღვნა ეოკელმა ქვეუნი მხარემა... ვით გასათხოვრდმა, ხაჭღუნა მორცხულად თავი იამა და გაუცინა ცელქურად მას ვარდმა გულ-მკერდ-ლიამა მაგრამ ხვეულებერ მთოვარე არ დაეკონა იმასა, არ გაუღიმა ამიუსა ტკბილ-გეკლეურად მღიმარსა; მწუსარედ გადმოაცქერდა ერთს მიღუბუელს მხარესა

და ამ აღაგის სიღვასედ იფერი შეუერთა მთვარესა. ზატარა ლელის ნაზირხედ გამონდა ერთგან საფლავი... რაღაც სეკდისა აღმძრელი, მწუსარე, გულის საკლავი, ორი ასვილის ბუჩქები უდგია ორთაგ მხარსედა, შიილი ყვავილნი ცრემლის წილ ნამს ანამებენ თავსედა. ერთის მხრით ჩამონხრიალებს მისს ახლას წყარო ანკარა და მის ნაზირხედ აზრდილა მწვანე ბუჩქნარი ზატარა; ეოკელ ხაირი ყვავილი იმ წვრილ ბუჩქებში მრავლდებენ და მათში ჩასასლებუენი წყნარად ბუღბუენი გალდებენ. ნეტავი ვისი იქნება ეს იღუმალი საფლავი ამ მივარდნილსა აღაგსა? ან ვინ შესწირა აქ თავი? რაღაც ჯადონურს დუმილსა მისი მიდამო მოუცვავს და რაღაც კრძალვისა შიში გულს აგიშოფოთებს და გიწვავს. გრძნეულებითა აღვისილი ირგვლივ ბუჩქებს მიუდრობს,

არ იმდის ფართოღო შრიალი და სიოც ახსად მოძრაობს;
არ იძვრის ძილი ბუნების, მკვლარით მინაბულისა
და ცხადად გქმის ცხსცხსი და ტუმა თვისაჲ გულისა...

ამბობენ შორე წარსულში, შიშინაობის დროსაჲო,
როს საქართველო ებრძოდა მოსკულ მტრების გროსაჲო,
აჲ, ახლო მთაში, შესულა ერთჯერ, ადრინ დილითა,
მხნე დედა-გატი მარინე, თავისის ერთის შვილითა.
სამეფოს ოთხიგ კუთხიდან მას შეუკრინაჲს გმირები—
გაჭირებულთა საშუელად უხადად გაჯარდნილები—
და სადაც ახლა საფლავი გამოიტქერის გულ-წკითა,
აჲ დასტემია მტერს თავსედ სამოცდა ათის კაციოთა.
ბრძოლის დასასრულ მარინეს სისხლებში ამოსვრილიო
უნახავს მკვდრებში უსულად თვის დედის-ერთა შვილიო...
იჲ გაუთხრია სამარე მას, დადით დანახუნდაჩსა,
და დაუძარსავს საბრალე შობილი ჩვილსა დედსა...
მას აქეთ არვინ გამოჩნდა მისი ამბისა მცნობელი,
მხოლოდ ამბობენ მოდისო საფლავთან ვილც მშობელი,
ხმაღს გვერდს დაიდებს, დაჲდებს, საფლავს დაუწუებს ტქერასო
და კვლავ განქცება, როცა რომ ათავებს შეძლებ მღერასო:

— „სკვდიანი გულ-მოკლული მოკვალ, შვილო, შენს საფლავსედ,
„ტარს ბუღბული შემოგმღერის და დაქცქერის ია თავსედ;
„სარძლოსავით მორცხვ-კეკლუცად ჩაუნრია იმას თავი...
„გაიღვიძე, ხმა გამეტი, ნახე ტურთვა სახასავი!

„მღერის, კვნესის იადრნი, თავს დაგძსის „ნახასაო“
„და ის „ნახა“ გულს უსიბლავს კაცსა და ქვეყნასაო;
„შორის ტუიდან გამოისმის გულ-დამწველი ზანაშობს ხმა
„და იმ ხმებსა უერთდება შენის დედის მწარე მოთქმა!

„შეკრდ-გაშლილი ვარდ-უვაკილი მოვარეს უჭვრეტს და უღიძვს,
„ეველა ხარობს... მარტო, შვილო, უშოთოთუვლად შენა გძინავს...
„გაიღვიძე, გამახარე, სათლავიდაძ დაიძვი,
„თორემ ჩვენი მუხობლები მოგვესეკა, ვითა მტერი!

„მარტო ვსცხოვრებ, არვინ გახნდა ჩემთვის შეშწე, მეგობარი,
„მაგრამ ერთად მიძახნია მინდორი და მთა და ბარი.
„შენი გძირი მამის ჩრდილი მეუბნება გულ-მწყურაღიო:
„მინამ გიღვას პირში სული, იყავ საღსის მეურნაღიო!“

„და არ გავსტეს იმის სიტუვას, გავმავრდები გაყოვითა,
„მინამ შენ არ გადაუხდი, კვლად გივლი ჩაჭვივითა...
„და, რას მტერხედ ჯავრს ავიყრი, შეგმუსრავ და უმაგივრებ!
„მაშინ, შვილო, შენთან ერთად სამუღამოდ მივიძინებ!..

„აწ მშვიღობით, დაიძინე... სვალ ამ დრომდე, ჩემო გვრიტო,
„სვალისთვის ვი ნება მომეც, მოვიდე და კვლავ გიჭვრიტო!...“

ცახელი.



ფინია გიშერას სულუბობა.

სუმობა.



ს გახლავთ პაწაწკუნა ფინია, სახელათ ბიშერა.. ბთხოვთ, იცნობდეთ. რა მშვენიერი ბეწვი ასხია: გძელი, კარგათ დაფარცნილი, სწორეთ აბრეშუმი და გიშერსა-ვით უბზინავს. პიდეც იმიტო მჭქვია ამას ბიშერა... (ოთახს არ სცილდება... მანჭია, მარდი და ამასთან დიდი გაიძვერაც გახლავთ... პაპა ამისი ყოფილა მუდამ მშვიერი და გასაწყლებული ნაგაზი... ეს კი ასე დაგვალუღოია, მუჭის ოღნა გაზღილა, მეტი არა!...

— როგორ არ იცნობთ თქვენს მეგობარს კუდ ქიცინა ბიშერას. შეხედეთ, როგორ სიამოვნებით დასჭყიფლა, დაჰყეფა, უნდა თაეი მოგაწონოსთ. ბულ-ახდით უნდა მოგახსენოთ, ეს პატარა მაგის ნაკლუღივანებაა... მაგრამ ვინ არას უნაკლუღო?.. ძაღლებსაც აქეთ თავისი ბიწვიერება...

მაგასთანვე უნდა მოგიყვეთ მაგისივე ამბები. ნათქვამია: „მოუკარეს ჰინში უზრასე, მტერს ჰინს უკანაო.“

ბიშერა ბობოლაობს. ცხოვრებს განცხრომით ერთს მდიდარს სახლში, ბატონ პნდუყაფართან, კოტრიალობს ხალეებით დაფენილს ტახტებზე, მუთაქებს ახტება და ვთამაშება; მიიროთმევს გემრიელს საჭმელებს, კახურის სმაც უყვარს, სძინავს ხა-

ვერდის მუთაქაზე. ბიშერა მიირთმევს თევზზე. შოველ სადილზე გულსაფართით არის მორთული, რომ არ ამოიწკუმზლოს წენიანს საჭმელში... მას არა აწუხებს რა, არც გაჭირვება უნახავს თავის დღეში. არც შემოდგომის ქარი იცის რა არის, არცა ზამთრის სუსხი... ის არა ჰგავს ქუჩაზე მაწანწალა და სიცივით მოთახთანე ნაგაზსა... მულამ ჰყვფს წერილის ხმით, მხიარულათ, თითქოს ვეცხლის ზარი იყოს!

ბატონის სახლში ბიშერამ ყველას თავი შეაყვარა. როცა ბატონის ქალი ოამრო ხითხითით დარბის ოათხებში, ისიც თან მიწინებებს და მალაყზე გადადის პატარა ღათიკოს ფეხებს ქვეშ. როცა პატარა ღათიკო ტიკინას ეთამაშება, მაშინ უნდა უყურო ბიშერას, რა ნაირის მოწინებით დამჯღარა უკანა ფეხებზე, ატუზულა, წინა თათი ტიკინასთვის წელზე შემოუდღვს, ცხვირი მის ყურთან მიუტანია, თითქოს ტიკინას, რომელსაც სახელათ ნენე ჰქვია, ყურში ჩასჩურჩულდესო.

— ღელა, ღელა, შემოხედე რა ჰკუდიანათ იქცევა ჩემი ბიშერა! ღახე როგორ ესიყვარულება ნენესა! მხიარულებით და ტაშის კვრით უძახის ოამრო კნენა ბაბალესა.

ძნენა შეხედავს ბიშერას, დასწკურავს მის მშვენიერს ქუქუნა თვალებსა, ლამაზათ გაიღიმებს, „ჰაი, შე კუდიანოვო“ ეტყვის, თითით დაემუქრება, მერე წამოდგება და ოთახიღდან გავა.

ბიშერა თითქოს მინდღა ღათიკოსი და ქალბატონის ლაპარაკს, დააყულა განზე ტიკინა ნენე, მიუცოცღა ბატონის შვილს უკანა ფეხებითა და, როცა პატარა ღათიკო ტიკინა ნენეს დაეკონა, ბიშერამ პაწაწა ხელები გაულოკა. ძუღიანია! იცის, რომ ამ მოსიყვარულობისათვის ის კანფეტს აჭმევს.

ოამროს ძამიას, ღათიკოსაც, ძალიან უყვარს ბიშერა. როცა ყმაწვილი დაიწყებს წიგნის კითხვას, კუდიანი ბიშერა ნელა შეიპარება ყმაწვილების ოთახში, შეხტება ტახტზე, მერე სტოლზე, დააცქერდება წიგნს მოღუშული, თითქოს კითხულობსო, მერე აიხეღავს მაღლა, მიჩჩერღება ერთს წერტილს, თითქოს

ღრმა ფიქრში გაერთოვო, რაღასაც იგონებსო. ამბობენ, ერთ-
ხელ ბიშერას, ვითომც, კლამიც კი აეღოს თათით, დაეჩხაბნოს
კიდეცა ქალღმერთ და ამით დაემტკიცებინოს ღათიკოსთვის, ვი-
თომც წერა ვიცო. მართალია, ამისთანა საქმეს უხიფათოთ არ
ჩაუვლია ბიშერასთვის: იმას თათი მეღნით ვაეთხუზნა და თურ-
მე ქალღმერთდაც დააჩინა თავის თათას ნაკვალევი, მაგრამ რა
უყოთ, ძველი ქართული ანდაზაა: „ერთი ალილო დგდესსაც შეც-
დაო,“ ნათქვამია. ბიშერამ მაინც ამით ცხადათ დაუმტკიცა ღა-
თიკოს, რომ ის სხვა მის ტოლებზე ბევრათ წინ არის; პატარა
ღათიკოს გართობაც იცის და საქმის მცოდნეც ვახლავთ.

მახუცებულ ბატონთან ბიშერა მოწიწებით არის, თავს
ზომიერათ იჭერს და თავის ღროზე ხუმრობაც იცის. თავადი
ანდუყაფარ ბრძანდება ტახტზე ფეხ-მოკეცილი, გრძელის ჩიბუ-
ხით სწევს ბითლიზის თუთუნსა. ჭალარა უღწვამებს ქვეშ გამო-
დის თეთრი კომლი, რომელიც ნელ-ნელა ეფინება გარეშემო.
პი, თვითონ ბატონის თავიც ვაეხვა სქელს ბურუსში, თითქოს
ქაზიბების წვერს შემოხვევია ღრუბელიო. ძირს, იატაკზე, ბა-
ტონის წინ დაყუნცულა ჩვენი ბიშერა, ბატონს და მის ჩიბუხს
თვალეებს არ აშორებს. ხმა-გაკმენდილი და განაბული ელის რა-
ღასაც. ბატონი ანდუყაფარ ვაერთო კიდეც ფიქრებში, მოჭ-
ყვა თვლემასა, ჩიბუხი ის იყო უვარდებოდა ბატონს ხელიდან,
მაგრამ ამ ღროს ქორივით დაატანა მას პირი ბიშერამ. ბატონ-
მა იგრძნო თვლემასში, რომ ჩიბუხი გამოვარდა ხელიდან; იფიქ-
რა სწორეთ ვატყდაო და უსიამოვნოთ გამოაქყიტა თვალეები.
მაგრამ, ჩიბუხი რომ ბიშერას პირში დაინახა, იამა მისი სიმარ-
ღე, გაუღიმა და უთხრა:

— ოჰ, ბიშერა, ეგ შენა ხარ?... შოჩაღ!.. თუ კაცი ვყო-
ფილვარ, დავისწავლი მაგ ამაგს.

ბიშერამ მოწიწებით მიართვა ბატონს ჩიბუხი, დაჰკიდა თავ-
ვი, თითქოს ელოდა ბრძანებასა; შეჰკრუსუნა, თითქოს თავი
შეაბრალო და მიჯდა კუთხისაკენ.

ბიშერა ძალიან მოხერხებული ფინაც არის. ღღე არ ვა-

მოვა, რომ რითიმე არ მოაწონოს თავი შინაურობას. ქველას ართობს და ამისთვის ყველას უყვარს ზიშერა. ჯერ სუნს იცემს, ისე ოთახში არ შევა, შეიჭვრეტს ნახევრად გაღებულს კარებში; თუ არ დაუძახეს, ერთს ნაბიჯსაც წინ არ წადგამს და, სადაც უნდა დაუძახონ „ზიშერა, ზიშერაო,“ ისიც იქ გაჩნდება, ბურთივით შეგორდება... არსად არ დააკლდება.

„— ზიშერა ჭკუიანი, ზიშერა საყვარელი, ზიშერა მარდი მოსამსახურე!“

„— რა ნიჭიერი ძაღლია ზიშერა, რომ იცოდეთ!“

„— ზიშერას თხილი უნდა საკენეტელათ, ხილიც უნდა ზიშერას!“

„— წვენი? ხარშო ხომ გაქამეს, ზიშერავ? ხოხბის კიბ-კიბა უნდა ზიშერას, საცივათ ჩადებულის ხოხბისა!“

„— მგ ხომ ახირებული ძაღლი არ არის, მაგა გემოცა აქვს!“..

ქოველ მხრით იწვევენ ზიშერას აშგვარის პატივის ცემით და ისიც ხომ გაზდილი ძაღლია, ყველასგან მაღლობით მიიღებს მონაკითხსა...

ზიშერას ერთხელ ძალიან ცუდი საქმე შეემთხვა. მაგრამ რა ვქნათ, ვინ არ შემცდარა ამ ოხერს წუთისოფელში?..

მართხელ ცუდი დილა გაუთენდა ჩვენს ლაქუცა ზიშერასა. იმ დღეს რალაც გვიან გაიღვიძა ზიშერამ, გაიზმორა რბილს მუთაქაზე, თვალები რომ გამოიფშენიტა, შეხედა, მზე მალლა აწეულიყო ცაზე. შაწვილების ოთახში კაცის სული არ არის. მიისუნტალ-მოისუნტალა.

— უჰ, რა მშვენიერი მწვადის სუნია! თქვა ზიშერამ გუნებაში.

მართლაც მამროსა და ღათიკოს არ დაეიწყნიათ მათი საყვარელი ზიშერა.

ჩამოხტა ტახტიდან. აი თევზიცა, ზედ აწყვია ყველი, პური და კარგი მწვადის ნაჭრებიცა. ამ მშიერს გუნებაზე, ვისა

აქვს თავი განარჩიოს, რომელი სჯობია საკმელებში. ისე ზედ-
მიყოლით ჩაალაგა მუცელში ყველაფერი.

ბიშერა ახლა ქვიფხვია; ხტის, დარბის და ყოველგან ზარი-
სავით ისმის იმისი ხმა.

„— რა კარგი იქნება ახლა ერთი ვისმესთან ვით.ამაშო—
სთქვა ბიშერამ გუნებაში— „ესცალო ჩემი ძალ-ლონე!“

მიიხედ მოიხედა... ოჰო!.. ღათიკოს სტოლზე, წიგნთან,
თეთრი კურდღლის ტიკინა დასკუპულა. მითქო ცოცხალია, ისე
გამოუცქვევტია ყურები და თვალებს აბრიალებს.

„— ცოცხალია, ნამდვილი ცოცხალი!“—აწ საიდან გაჩ-
დაო?—ფიქრობს ბიშერა. ის კი არ იცის, რომ იმის ძილში
წუხნელის ბებიაშ მოუტანა ღათიკოს ახალი სათამაშო ტიკინა—
კურდღელი.

ბიშერა სტოლთან დგას, გამოუჭიმავს თვალები კურდღელ-
ზე, უძახის კურდღელს: „აქ მო, ვითამაშოთო!“ პურდღელი
ყურებსაც არ იბერტყავს, ყუყს უძრავთ თავისთვის სტოლზე.
ბიშერას დაეკარგა მოთმინება, შეხტა სკამზე, გადახტა სტოლზე
და უცბათ ჩამოაგდო კურდღელი ძირს, იატაკზე; მგრე გაუგორ-
და წინ და მოჰყვა ყეფა-ყვირილსა. პურდღელი მაინც გაჩუმებუ-
ლია და თავისთვის ყუყს გოგორებიან ფიცარზე. შეღარ მოით-
მინა ბიშერამ და გამოსწია ბაწარსა, რომელიც იყო ფიცარზე
გამობმული. ზოგორებიანი ფიცარი, კურდღლიანთ გარინდა.
ბიშერა გარბის კურდღლის წინ. პურდღელი თავის გოგრებიან-
ფიცრიანა წამოიქცა; ბიშერა დაახტა უცბათ თავზე, სტაცა კი-
სერში კბილები, უნდოდა წამოეყენებინა, მაგრამ, ვაი უბედუ-
რებას! პურდღელს მოვარდა თავი, გაწყდა მართული და სულ
გრიალ-გრიალით გადმოიფუშა, რაც ნაჭრები და ბუმბულები
ეტანა კურდღლის ტიკინის მუცელში. აღარ არის კურდღელი:
ის სულ ნაკუწ-ნაკუწათ იქცა.

რალა ქნას ბიშერამ?... შიშისაგან ყურები უწივის, ტანში
ცეცხლი მოედო, თავს რეტი დაესხა.



„ — რას იტყვიან მოხუცებული ბატონი პნდუყაფარ, კნეინა ქალობატონი ბაბაღე, პატარა მამრო და ღათიკო?.. მოხუცებული ბებია პნიკა სულ გაოცდება და ყოველგან მოჰყენს ამ ამბავს.

რას ფიქრობთ თქვენ, ამ ამბის გამგონენო? შსათუოდ გაუწყრნენ ბატონები, შეარცხენეს, დასაჯეს კიდეც, მაგრამ ნეტა თუ თაფი გამოიდერინოს შიშერამ ამ ხიფათისაგან? შსათუოდ გამოიდერენს თაეს... შიტრომაც ეძახიან მაგას სხარტ-შიშერასა.

ნ. ნესქელავი.

ნოემბერი.



ბუნების მაცნობარება.

პირველი წიგნები

ზოოლოგიი და მ.

პირველი გაკვეთილი.

განსხვავება ცხოველ არსებათა და უსულო საგანთა შორის. განსხვავება ცხოველთა და მცენარეთა შორის. ბუნების სამი სამეფო.

აი, თქვენ თვალ-წინ სტოლზედ ძევს ქვა, ქილაში ჩარგული ყვავილი და ჩიტი გალიაში. წარმოიდგინეთ, რომ ჩვენ ყველანი გავედით ამ ოთახიდან, გავიკვტეთ მაგრა კარები და დაებრუნდით სწორედ ერთი წლის უკან. რა დაგვხდებოდა აქ მაშინ? შვეილის ნასახიც აღარ დარჩებოდა, ან იქნება გადარჩებოდა რამდენიმე ხმელი ღერო. ჩატის მაგიერ ჩვენ დაგვხდებოდა მარტო ძვლები და ბუმბული. მაგრამ, აბა მითხარით, რა მოუვიდოდა გალიას, ქვას, ქილას და მიწას, რომელიც შიგა ყრია? მსენი დარჩებოდნენ უვნებლად. ჩიტსა და ყვავილს რაღა მოუვიდა? ჩიტა მოკვდა, ყვავილი გახმა. რათ მოკვდა საწყალი ჩიტი? ძალიან ადვილი გასაგებია: იმიტომ, რომ იმას არც აჭმევდნენ და არც ასმევდნენ. შვეილი რაღათ?—იმიტომ, რომ წყალს არ უსხამდნენ. მვას რაღა მოუვიდა?.. მვის ფიქრი ნუ გაქეთ! იმას არც ჭამა უნდა, არც სმა; ის არ მომკვდარა, იმიტომ რომ არც უტოცხლია.

მამ ცოცხალი არსება იცნობება მით, რომ მას უნდა სმა და ჭამა. თუ იმას მოაკლეს ცოტა ხანს საჭმელი და სასმელი, ის უწყალოდ კვდება.

რა საჭიროა საკმელო? არ, შეხედეთ ამ ჩიტს: სამი თვეა, რაც გალიაში ზის; ამ დროს განმავლობაში ამან ათი თავის წონა ფეტვი შეჭამა და თითონ კი ერთი მისხლითაც არ დამძიმებულა. მაშ რა უყო ჩიტმა თავის საკმელს?

თქვენ, როგორც მე, იცით, რასაკვირველია, რაც მოუვიდა მის საკმელს. ჩიტმა მიიღო იგი თავის კუჭში, მოინგლა და შემდეგ მოიშორა ისევ თავიდან. ჩაინდეთ გალიაში და თქვენ გაიგებთ, რომ ჩიტს თავისთვის არა შეუძლებს რა: იმან ჩაყლაპა იმდენი მისხალი ფეტვი, რამდენიც ისევ უკან დააბრუნა. მხოლოდ დააბრუნა მან ფეტვი კი არა ისევ, არამედ სხვა და სხვა ნივთიერება, რომლებათაც ფეტვი გალიცა კუჭში.

იქნება თქვენ ჰფიქრობთ, რომ ფეტვი ცუდ-უბრალოდ დაიკარგა? ძალიანა სცდებით. ეს ჩვენი ჩიტი, რომ არა სჭამდეს, გახდებოდა, რასაკვირველია, და ცოტა სიმძიმესაც დაჰკარგავდა. მართალია, ჩიტი ძალიანაც არ გახდებდა და, სულ რომ ბევრი, ერთ მისხალზედ მეტი არ დააკლდება; მაგრამ, აბა კადეც, ეს მისხალი არ იკარგება ფეტვის წყალობით! თქვენ შეგიძლიათ მკითხოთ, რატომ არ იკმირა ჩიტმა ერთი მისხალი ფეტვიო და გირვანქაზედ მეტიც შეჭამაო? ან აქედამ სჩანს, ისა რომ მეტი ნაწილი ფეტვისა მაინც და მაინც ტყუილ უბრალოდ დაკარგულა? რომ მოგიგოთ ამ კითხვაზედ, მეც ჩემის მხრეც გკითხავთ შემდეგს:

ამ ზამთრის პირში თქვენი ეზო შეშით იყო სავსე, ეხლა კი იქ ძალიან ცოტაა და იმარტელა შეშამ სულ ბუხარში გაიარა. მაშ აქედამ სჩანს, რომ შეშა დაკარგულა ცუდ-უბრალოდ? —სულაც არა, მიბასუხებთ: შეშის წყალობით სახლში თბილოდა და გარდა ამისა, ცეცხლზედ ვხარშავდით საკმელს და ვაღუღებდით წყალს. ახა, ფეტვაც ასეთივე სამსახური გაუწია ჩიტს. არ მოგხდომიათ თქვენ დიდ ხანს უსაკმელოთ ყოფნა? არ მოგშობიათ ძალიან? სამწუხაროდ, არიან ბევრი ისეთი ბავშვებო, რომელთაც კვირის-კვირობამდის საკმელო არა აქვთ. მოიგონეთ თქვენ თითონ ან ჰკითხეთ სხვას და დარწმუნდებით, რომ



თუ ღმერთი გწამთ, იმას კი ნუ მეტყვიით, რომ ყველა მცენარე მწვანეა, აქვს ფოთლები, ყვავილები და ფესვებიო. მე ყხლავე გაჩვენებთ თეთრ სოკოს, რომელსაც არც ფოთოლი აქვს, არც ყვავილები, არც ფესვები, მაგრამ მცენარე კია. ეს ყველასათვის ცხადია.

ღაკვირდით, აბა: ქილაში ჩარგული ყვავილი, აი სოკო, აგერ ბალახი, აგერ ხეებიც. ხომ განსხვავდებიან ესენი ერთმანერთისაგან, როგორც ფერით, ისე ტანით, მაგრამ ამასთან ყველას საერთო თვისება აქვთ: ისინი არ იძვრიან თავიანთ ადგილიდამ; სადაც დაბადებულან, იქვე იზდებიან და იქვე იხოცებიან. ეს ჩვენი ჩიტი კი სულ სხვანაირად იქცევა. ის წამსაც არ გაჩერდება ერთს ალაგას, თუ არა სძინავს; მთელი დღე მოუსვენრად დანტის ის თავის ქანდარაზე, ხან ჰშლის ფრთებს, ხან იწმენდავს ნისკარტს და ხან რას შერება. ძატა, რომელსაც უნდა ჩვენი საწყალი ჩიტი ივახშპოს, აგრეთვე არ ჩერდება ერთ ალაგას და უფლის აქედ-იქილამ გალიას. შერა მოუსვენარია ბუზი, რომელიც წამში ასჯერ შეფრინდება გალიაში და არ ეშინია, რომ ჩიტუნის პირში ჩაუფრდეს. ლოკოკინაც კი არა დგება ერთს ალაგას და მუდმივ დასერიობს ბალახებში. შევლა ესენი—ცხოველი არსებანი არიან, შეუძლიანთ სიარული, ხტომა, რბენა, ცურვა, ფრინვა: ჩვენ არაფერს ამ გვარს ვერ ვხედავთ მცენარეებში.

მაშ სჩანს მოძრაობა შესძლებიანთ მართო ცხოველებს და მითი კადევაც განსხვავდებიან მცენარეებისაგან. რა საჭიროა მოძრაობა? თქვენ ეხლავე დაინახავთ, რამდენად საჭიროა იგი. მცენარეები ჰაუტავენ (ჰ.წუწნიან) წვეწვს მიწილამ თავიანთი ფესვებით და ამ რიგათ იკვებებიან ან კიდევ ჰჰოულობენ თავიანთთვის საჭირო საჭმელს ჰაერში, რასაც ჩვენ გავიგებთ, როდესაც ვილაპარაკებთ მცენარეების ბუნებაზე. როცა ამ რიგად საჭმელი ერთ ალაგასა გაქვს, მაშინ, რასაკვირველია, საჭირო აღარ არის რბენა აქეთ-იქით. ცხოველების საქმე კი სხვა ნაირად არის მოწყობილი. იმათ კუჭი აქვთ შიგ სხეულში და არ

აბიათ ფესვებზე. საქმელი კი უნდა ეძებონ. ამიტომაც ერთ ალაგს ყოფნა იმათ ხელს არ მისცემს. თევზი დასდევს ჭიყელას, მერცხალი ბუზს, კატა ჩიტს. თუ რომ ჩიტუნია არ მივა თითონ ჯამთან, რომელშიაც ფეტვი, უყრია მოკვდება შიმშილით; თუ ლოკოკინამ შეჭამა ერთი ფოთოლი, ის უნდა მეორეზედ გადაცოცდეს, თორემ ცუდათ მოუვა საქმე. სწოველს უნდა მოძრაობა უპირველესად იმისთვის, რომ მოიპოვოს საზრდო.

მოძრაობა საჭიროა სხვანაირადაც. აბა, დაბით თქვენი ძალი; ის მაშინვე გაქან-გამოქანდება ასაშვებათ და იქნება კიდევ მოგვარდეთ საკბენათ. ღაუძახეთ თქვენ კატას: ის მოიბზენს თქვენთან, თქვენ კიდევ მოუაღერსეთ; ის იწყებს თქვენ ფეხებთან გორვას და კნავილს. აბა, გააღეთ გალია და თქვენ დაინახავთ, რომ ჩიტი შეშინებული დაიწყებს ფრთხილს და ეცემა კუთხეს. მაგრამ თუ დაინახავს, რომ თქვენ მხოლოდ მიუტანეთ ფეტვი, ის მოფრინდება თქვენთან, დაგიწყებს მხიარულად ცქერას, თითქოს მადლობასაც გამოგიცხადებს. თევზი იმაღლებ, როდესაც თქვენ უახლოვდებით წყალს; ჰეპელა მიუბრბის ბადეს, კაჭკაჭი ჰგრძობს თოფს; კურდღელი ფიცხლავ მიბრბის, რაკი ერთი ბეწოდ ყურს მოჰკრავს მონადირეს ფეხის ხმას; ლოკოკინაც კი, რომელსაც არც სმენა აქვს კარგი, არც მხედველობა, იმაღლება საჩქაროდ თავის სარდაფში, როდესაც მიუახლოვდებით ან ხელს ახლებთ.

მცენარე? განა ყვაეილს ეშინიან თქვენი რისამე? ბანა სოკო აცხადებს ან სიხარულს, ან მწუხარებას? ბანა მათ სტკივით რამე, როდესაც სცემენ ან აწვდიან თავიანთ ტოტებს, ან როცა ეძახიან? — პრა, მცენარეები არცა რასა ჰხედვენ, არცა რა ესმით, არა რასა ჰგრძნობენ. იმათ არა აქვთ არაფრის წარმოდგენა. ისენი არავის უნახავს არც მხიარული, არც დაღონებული. მცენარე რომ დაბათ, იგი არ აფხანება. ისინი მოკლებულნი არიან გრძნობას, გონებას და სურვილს. ეს თვისებანი ეკუთვნიან მხოლოდ ცხოველებს.


ამ რიგად, ყველა ბუნების საგნები ანუ მთელი ბუნება შეიძლება გაიყოს სამ რიგობათ. მინერალები—მოკლებულნი სიცოცხლესა; შემდეგ მცენარეები, რომლებიც, თუმცა სიცოცხლობენ, მაგრამ მოკლებულნი არიან გრძნობას, სურვილს და მოძრაობას და ბოლოს ცხოველები, რომლებიც ჰსიცოცხლობენ, მოძრაობენ, ჰგრძნობენ და აქვთ სურვილი.

მე განძრახ არ გითხარით თქვენ, რომ ცხოველებსა და მცენარეებს შუა სხვა განსხვავებაც არის. თავი რომ დავანებოთ სოკოს, ჩვენ ვნახავთ, რომ სულ პატარა ბალახილამ დაწყობილი ვიდრე უდიდეს ხეებამდის, -როგორც მაგ. მუხა, -ყველა მცენარეებს აქვთ: ფოთლები, ტოტები, და ფესვები, რომლებიც მიწაში არიან გადგმულნი. მერაფერს ამ გვარს ცხოველებს ვერ უპოვით. ამათ ყველას, ნაცვლად ამისა, აქვთ ტანი, თავი და ხელ-ფეხი. შევლა ეს თვისებები ხშირად შეიცვლებიან ხოლმე. მაგრამ ისინი კი, რომლებიც მე თქვენ ზევით დავისახელებთ, უფრო მუდმივნი და სუყუნონი არიან.



ამ რიგად ჩვენ დავადგენთ ეხლა ბუნების, ესრედ წოდებულს, სამ სამეფოს: სამეფო მინერალებისა, სამეფო მცენარეებისა და სამეფო ცხოველებისა.

მალაროელი.






1. ორ ტბასედა ორი გველი ეშუქრიან ერთმანერთსა,
რა გინდ ბუკრა მიიწიონ, ვერ უგბუნენ ერთმანერთსა.
2. ორ ტბას შუა ერთი ქედი ნასვრეტია შტვირვიითა,
შიგ გამოდის ღრუდღს წყალი, სქელი არის ფისივითა.
3. ერთი რამ არის სარკესებრ, მთელი ქვეუბები შიგ ჩნდება,
ვინც მასა დიდ ხანს დაჰსტყურდეს, ბედნიერი შეიქნება.
4. ერთი რამ არის ძვირფასი, კაცისა წინა-მძლოდია,
ქვეყანა წინა აღუდგეს, მით ვერვის წასართმეოდია.



ლი



რი



საინტერესო ცნობები

მცხოვრებლების რიცხვი დედა-მიწაზედ ჩვენს დედა მიწაზედ ჰსცნო-
 ვვრობს ათას სამას ორმოცდაათ (1350) მილიონამდე სული. მეცნიე-
 რი მიუღერი და კალტენდიატნერი ამათგან ორიათას ხუთა-
 სამდე (2500) სხვა-და-სხვა ენაზედ და კილოზე მოლაპარაკე ხალხს ან-
 გარიშობენ. ზოგიერთ ქვეყნებში ძალიან ბევრ-გვარობას შეხვდებით ლაპა-
 რაკში, რომელნიც სრულებით არ წაჰკვანან ერთმანერთსა, თვითონ სიტყ-
 ვების ძირადითაც. ყველაზე უფრო მდიდარია ბევრი ენებით აღმოსავლეთის
 მხარე დედა-მიწისა, აქედამ განსაკუთრებით კავკასია, ინდოეთი და ცენტრა-
 ლური ანუ შუა აფრიკა. დასავლეთ ქვეყნებში ბევრს ენებს უფრო ცენტრა-
 ლურს ამერიკაში შეხვდებით, მექსიკოში და ამის ახლო-მანლო მდებარე
 ადგილებში. ინდოეთის მალღობები, ისე როგორათაც კავკასიონისა, დიდ-
 ნობით განაშორებდენ თავის სიმაღლეებით ერთს ხალხს მეორესგან და
 ამავე დროს სხვა-და-სხვა გვარის ენების კოლოს ანუ გამოთქმის გავრცე-
 ლებასა ხელს უწყობდნენ. მონადირე ხალხები, როცა შორს ჩამორჩებიან
 ხოლმე ერთმანერთსა, ცოტ-ცოტათი ისეთს კილოს შეიმუშავებენ ლაპარაკ-
 ში, რომ კაცს გაუჭირდება მათი, სხვა ხალხებთან შედარებით, ნათესაობის
 გამოკვლევა.

იაფი ბარამეტრი. ბარომეტრი—ფიზიკური იარაღია, რომლითაც რა-
 მოდენივე დღით წინ შეიტყობა მომავალი ამინდი. რადგან ეს იარაღი შე-
 დარებით ბევრისათვის ძვირათა ღირს, ამისათვის იგონებენ ბევრს უბრალო-
 სა და ხანდისხან მონერნებულს საშუალებებს ამინდის შესატყობათ. მაგა-
 ლითებრ, უნდა მიაჭედო კარგ ამინდში კედელში ლუსმანი და ზედ მოკლე
 ძაფზედ დაჰკიდო პატარა, მსუბუქი შეკვრა ანუ კონა ქათმისა ანუ ბატის
 ბუმბული. ის ადგილი, სადამდის უწევდება შეკვრა კარგს ამინდს, უნდა
 დაინიშნოს კედელზე მელნით ანუ მელითა. თუ წვიმიანი ამინდი დადგება,

შეკვრა ბუმბულისა დაიწვეს უფრო ქვევით დანიშნულს ხაზიდან, თუ ამინ-
დი საუკეთესოდ იცვლება, ის კიდევ უფრო ზევით აიწვეს. ამ უბრალო და
იაფი ბარომეტრით შეიძლება შეიტყო ამინდი 6—12 საათით წინ უფრო
ადრე.

ხაღმინასა და მაიმუნის ტყინი მთელი ტყინი ახლად დაბადებუ-
ლის ბავშვისა შეიცავს 400-დან 800 კუბიკურ სანტიმეტრამდე. პირველი
წლის განმავლობაში ტყინი დიდდება 1000 კუბიკურ სანტიმეტრამდე, შემ-
დეგ, დანარჩენი მთელი სიცოცხლე 1500 კუბიკურ სანტიმეტრს არ გარ-
დასცილდება. მაშინ როდესაც, ყველაზე უდიდესი მაიმუნის ტყინი მხო-
ლოდ 530—540 კუბ. სანტიმეტრამდეა, ასე რომ ერთი წლის ბავშვისა
და მაიმუნის შორის, როგორც ჰხვდავთ, დიდი განხვავებაა.

ჩინელების ერთი უმტკიცესი ჩვეულებათაგანია, ყველამ იცის, რომ
ძველი ჩინეთი სქლად და სწორად დასახლებული ქვეყანაა; იქ ბევრი მცხოვ-
რებლებთან ნებზე ჰსცხოვრობს წყალში. ამ გვარის სივიწროვისა გა-
მო და აგრეთვე დღიური ღუკმის საშოვნელად, ჩინელები ათასობით გადა-
დიან ამერიკაში, განსაკუთრებით დასავლეთ მხარეს-კალიფორნიაში. მაგრამ,
თუ ჩინელი ეძებს კიდევაც სადმე თავისუფალ ნაჭერს მიწას და სარჩოსა,
ამასთანავე ის ჰსცდილობს თავის ძელები უსათუოდ მოასვენოს თავის სამ-
შობლო ქვეყანაში. მოკვდება თუ არა ჩინელი მას დროებით აბარებენ თა-
ვის წესით ამერიკის მიწას, რისთვისაც ამათ აქვთ საკუთარი დროებითი სა-
საფლაოც. ჩვეულებისამებრ, მიცვალებულის დროებით სასაფლაოზედ გა-
დატანის დროს, ერთი დამსწრეთაგანი მოჰყვინს ხოლმე გზას ფერად-ფერა-
დი ქაღალდების ნაჭრებით, რომლებზედაც დაბეჭდილია კონფუცი-ბრძენის
სიტყვები. საფლაოზედ დასტოვებენ ხოლმე შემწვარს რომელიმე ფრინველს,
ერთ კერძს ბრინჯსა და ბოთლა ღვინოს, რომ მიცვალებულმა შიმშილი
და წყურვილი მოისპოს. ამის შემდეგ ყველა დამსწრენი დაბრუნდებიან სა-
საფლაოდან, მაგრამ ისე, რომ უკან არ მიიხედვიან. ამ ჩვეულებით სარ-
გებლობს ღარიბ-ღატაკი, უღუკმა-პურო და უსახლ-კარო მაწანწალა ხალ-
ხი—ესენი აქვე დაუყოვნებლივ გამოძვრებიან საფარიდამ და მეტის სიხარ-
ბით მივარდებიან მიცვალებულის კერძსა.

რამოდენიმე თვის შემდეგ მიცვალებულს და უცხო ქვეყანაში დასა-
ფლავებულს ჩინელს ამოსთხრიან მიწიდან, სუფთათ გასწმენდენ მის ძვლებს,
გარეცხენ და დიდის მოწიწებით ჩაალაგებენ პატარა ყუთში. როცა რამო-
დენიმე ასი ამისთანა ყუთი შეიკრიბება—ამათ გადაჰზიდვენ ჩინელების გე-
მეზზე, რომელნიც განსაკუთრებით დანიშნულნი არიან მიცვალებული ამერი-
კელი ჩინელების ძვლების გადასატანათ თავიანთ სამშობლო მხარეს. ამის
გამო სან-ფრანცისკოს ნავთ-საყუდელში ხანდისხან ათ-ათობით სდგანან მიცვა-
ლებულების ძვლების გადასატანი გემები, რომლებსაც გადააქვთ ისინი
გონ-კონგში, შანხაიში ანუ კანტონში, სადაც ასაფლავებენ სამშობლო მიწაში.
ესე ძვირფასია მიცვალებულის ჩინელისათვისაც მისი ძველი სამშობლო.




„ნობათი“-ს ფოსტა

თბილისი. კად. ა. ს.—ლის.—პატიოსანს შრომას მუდამ აქვს პატიოსანი
ადგილი: შემდეგისათვის ვისარგებლებთ.

ქუთაისი. ვ. დ.—ქს.—,დაგვიზამთრდა, სუსხმაც დაგვერა,“ რომელსაც
ვერ ვინ და ვერაფერი ვერ წაუვლენ.

თელავი. რ. ვ.—ღს.—მადლობელი ვართ. გთხოვთ არ დაგვივიწყოთ.


მოსკოვი დ. ნ.—ქს.—ზოგიერთებით ვსარგებლობთ, ცოტაც შემდე-
გისთვის შევინახეთ, დანარჩენები კი ქალაქის შუა ბაზარში დაგ-
ვარკეთ.



რედაქტორი-გამომცემელი ა. ს. დულაძე.

პედაგოგიური ნაწილი

მშობელთა და აღმზრდელთათვის.



მ კ ი თ ხ ვ ე ლ ს

აი პირველი წიგნი „ნობათისა“, მკითხველო!

ორმა უმთავრესმა მიზეზმა გამოიწვია, ამ უურნალის გამოცემა:

ა) ერთი რომ, ჩვენ არა გვაქვს სემპელოვანი გამოცემა და ამასთანავე დღითი-დღე მატულობს ჩვენს ცხოვრებაში მოთხოვნილება, რომ თითოეულს ოჯახს და თვით საზოგადოებასაც ჰქონდეს ისეთი საკითხავი სტატიები, რომელიც უმაწვილს განათობს, აღზრდის და სწავლის სურვილს მოუმატებს. ბ) მეორე რომ, საჭიროა დაარსდეს ცენტრალი გაკვირებული ოჯახისა და სკოლის შორის ხან-გან-განად აღსაზრდელთა და იმის დასაყენებლათ საუკეთესო გზაზე ცხოვრებაში.

ამ ორის უმთავრესის მოთხოვნილების თანახმად, ჩვენი უურნალი „ნობათი“-ც განიყოფება ორ ნაწილად:

პირველს განყოფილებაში იქნება დაბეჭდილი: უმაწვილისთვის ადვილ-გასაგებების, მისებრივე მარტივისა და მკვირცხდის ენით დაწერილი სტატიები, მისის ცხოვრებიდანვე გამოგრეფილი, მისის სასიათისა და ბუნების საწვრთნელათ. ამავე განყოფილებაში დაბეჭდება ყოველწლიურის მეცნიერებიდან გამოგრეფილი აბეჭდილი ცნობები, სწავლანი და დაკვირვებანი ბუნებისა: მანუქლისა, მცენარისა და ცხოველთ ცხოვრებაზე; ზღაპრები, გამოცანები, ლექსები, სამღერალი ნოტები, არითმეტიკული ვარჯიშობანი და რეზუსები.

მეორე განყოფილებაში იქნება დაბეჭდილი: სტატიები, რომელიც შეესაბამება კაცობრიობის აღზრდის ისტორიას, იქნება დაწერილი სათითოეულ ყოველის განათლებულის ხალხის აღზრდა, მის მიერ მოძიების წესით, დასაბამიდან იმის განათლებისა ჩვენს დროში.



დე. რუსეთის აღზრდის ისტორია. ჩვენის ქვეყნის ახალ-თაობის აღზრდა, თუ როგორი ყოფილა იგი, ან რა მიმართულება ქონია ძველსა და ახლანდელს დროს; აღწერა ჩვენის ახლანდელის შვილებისა, იმათი მდგომარეობის შესწავლა, აღწერა ჩვენის უმაწვილლობის გამოზრდისა შინ ოჯახში, თუ როგორი ყოფილა იგი ძველს დროში, ან ახალი რანაირი აღზრდა ეძლევათ ჩვენს უმაწვილებს ოითოეულს სახლობაში; აღწერა ნაკლებუკვანებისა, რაინა მოსდევს ჩვენს თანამედროულს აღზრდას, როგორც ოჯახში, ისე სკოლაში; შესწავლა უმაწვილის ბუნებისა და მასზე გავლენა გარემო ბუნებისა და კაცისა, ოჯახისა და საზოგადოებისა; უმაწვილის ზიარებების შექმნა ამ ზემოხსენებულის გარემოების ზედ-მაქმედებით. სხვათა შორის ამავე განყოფილებაში ჩვენ დავბეჭდვით ნიმუშებს სამატაკდითო გავკეთილებსა.

ამ მიზნის ასრულებისათვის „ნ ო ბ ა თ ი“ ეცდება შეასაბამოს ორივე მხარე, როგორც შინაგანი, აგრეთვე გარეგანი, და ამასთანავე არ გადასცდეს სიმართლეს და ბუჩქბოთს სინამდვილეს, იქონიოს სხვაში მხოლოდ მარტო ის საუკეთესო მიმართულება, რომელიც მუდამ დედა-ბოძად უნდა ქონდეს ყოველსავე ბავშვის აღზრდას.

„ნ ო ბ ა თ ი“-ს გარე-მართულებას ჩვენის მხრით ექნება მიჭრეული ეკოდნით დიდი ყურადღება, რადენათაც მისს შინაარსსა, რადგან მხოლოდ მარტო შინაგანსა და გარეგან თვისებებს შორის დადგენილს ჰარმონიას შეუძლია აღზარდოს მთელი აღმინანი.

უმაწვილი—ჩვენი ძალა, ღონე და დიდება. ის არის ჩვენი მომავალი, მისით დავგრძეობა სახელი და კეთილი სსენება. დაწმუნებულ ვართ, რომ მისდაძი სიყვარული საზოგადოთ. გამოიწვევს ჩვენს ყურნალში ლიტერატურის ასპარეზზე ცნობილთა ზიართა ყურადღებას. იმედი გვაქვს, რომ ისინი განუზიარებენ „ნ ო ბ ა თ“-ს თავიანთ ნიჭის ნაყოფსა.

არა ნაკლებ მონაწილეობის მიღებას გვზიარდება აგრეთვე ახალგაზდობაცა. ბევრს ეკვლა ამათგანს უკვე გამოუცხადებიათ თავიანთი სურვილი ამ საქმეში.

ეს დიდს იმედს და ძალას გვაძლევს ჩვენ, რომ კეთილად წარმართოს „ნ ო ბ ა თ ი“-ს საქმე, რომელსაც სულთ და გულთ ვუძისვერბლეთ ჩვენს ძალ-ღონესა.

ა. ლუღაძე.

თბილისი

სამაგალითო გაკვეთილები

განმარტებითი კითხვა

გაზაფხული.

გაქრენ ღრუბენი განუწყვეტლენი,
როქლენი მზის სსივეს ძალადენ,
და ქვენის ხვენის ყოველი ანსნი
ხანგრძლივ ძილასგან განთავისუფლენ.

მთა-ბარს მოშორდა თეთრი სამოსი
და მის მაგივრად მწვანედ ირთება;
დიდობს მდინარე, ცუდილობს ტაროსი...
მშენიერება ყველგან ანსდება.

ძირს, მიწაზედა, სჩანს ჭიანჭველა,
ძალდა ჰაერში — ჭრელი ზეზელა,
და ყვავილებზედ ფუტკარი ყველა
ზის, მხიარულობს, ზურუნებს ნელა.

მეჭარტულს ბაღში ბუღბუღი გულბს,
ბელურა ჩიტა მარდათ ფრინავსა;
მერცხლის ჭიკჭიკით უმწვიღი ხარობს,
ბეგრის სტუნვითა ძლივს-და ფშინავსა.

ათხვენი ყველა გამაგრდა წელში,
შინაური თუ გარეულია,
რქიანი, ურქა — ჭალა და კელში —
ერთმანეთშია ანუელია.

ბარ და ცელი გლესთ გამოძუნეს,
საგძლისთვის იწყეს ზურის ცხობა...
ღმერთო, უფალო, შენ გვედრები:
დაჯილდოვე მათი შრომა!



ამ ლექსს მასწავლებელი ჯერ პირველად თავით ბოლქმდისინ თვითონ წაუკითხავს მასწავლებელ და მერე რამდონსამე მათგანს წაკითხებს. მასწავლებელი უეჭველია ეცდება წაიკითხოს, რაც შეიძლება, წინააღ და გარკვევით; ამასვე მოითხოვს ის მასწავლებელთანაც.

შემდეგ ამისა, განმარტებისათვის უმჯობესი იქნება ეს ლექსი გაიფოს სხნებათ და თვითოეული სხნა ცალკე გაიჩინოს. როდესაც ეკვლა სხნები დაწვრილებით გარჩეული იქნება, მაშინ მასწავლებელი საზოგადო დასკვნას ანუ, უკეთ ვსთქვათ, დედა აზრს გამოიყვანს შესაფერი კითხვების შემწეობით, რომლებიც მასწავლებლისაკენ იქნებიან მიმართულნი.

აქ იფიად საჭიროა, მასწავლებელმა სამაგალითოდ განიმეოროს წაკითხვა: აზრის შესაფერი სმის ამაღლ-დადასლება მან უსათუოდ მხედველობაში უნდა იქონიოს. ამ სამაგალითო კითხვის შემდეგ მასწავლებელი ისევე კითხულობენ: ჯერ უმჯობესნი და მერე უფრო სუსტნი. ბოლოს შეუდგებიან გაზეპირებს.

ლექსის სწავლების თეორიული მხარეს ჩვენ აქ დაწვრილებით არ შევხებით; რაც ვსთქვით—ეგ სხვათა შორის იყო ნათქვამი: ჩვენ მიზნათა გვაქვს უჩვენოთ სამაგალითო გაკვეთილი განმარტებითი კითხვისა უფრო პრაქტიკულად. ამიტომ დავიწყოთ.

I.

ნაწილ-ნაწილად გარჩევა.

მასწავლებელი ანუ მასწავლე კითხულობს:

გაქჩენენ ღრუბლნი განუწყვეტელნი,
რომელნიც მზისა სხივებს ძლავდნენ,
და ქვეყნის ჩვენის უოველი არსნი
ხანგრძლივ ძილისგან განთავისუფლდნენ.

მასწავლებელი — როგორ არის ამ ლექსში ნაწილები ღრუბელი? მასწავლე. — განუწყვეტელად.

მასწ. — რა სიტყვით შეგვიძლიან შევსწავლოთ ეს სიტყვა?

მასწ. — სიტყვით: დაუთავებელი, დაუბოლოვებელი.

- როდის იტყვიან ღრუბლებად განუწყვეტელი არის?
- როდესაც დიდხნობით არ გადადის ციდან.
- რა დროს უფრო იცის ამ გვარი ღრუბლები?
- ზამთარში.

მსწავლე.—რას ეტყვიან ბარს?

მოსწ.—დაბალს, ვაკე ადგილს; ზოგჯერ ველს ანუ მინდორს.

— რას ვეძახით სამოსს, სამოსელს?

— იმას, რითაც ვიმოსებით, რასაც ვიცვამთ.

— მთა-ბარს რა ფერის სამოსი ქონია?

— თეთრი.

— რას ნიშნავს, თუ მისვლებით, ეს თეთრი სამოსი?

— თოვლს.

— რა გვარად შეგვიძლიან შევსტავლოთ წინააღიდეგ: მთა-ბარს მოშორდა თეთრი სამოსი?

— მთა და ბარსედ თოვლი დადნა.

— რა შემთხვევაში ვამბობთ: იგი ირთვება.

— როდესაც ვინმე ძველ ტანისამოსს იხდის და ახალს იცვამს.

— რომელია მთა-ბარისთვის ძველი ტანისამოსი და რომელი ახალი?

— ძველ ტანისამოსს შეადგენს თოვლი, რომელიცა დნება და ახალს—მწვანე ფოთოლი და ბალახი, რომლებითაც ივინი იმოსებოან.

— რა მიხეზია, რომ მდინარეები გაზაფხულზედ დიდდებიან?

— ისა, რომ მასინ ზამთარში დადებული თოვლი დნება, აქედან წამოვა პატარა რე, უკანასკნელი შესვდება გაზაფხედ თავისთანა ამხანაგებს, შეადგენს ნაკადულს და ეს ნაკადული ბოლოს უერთდება მდინარეს, რომელსაც წყლით ადიდრებს.

— რას ეტყვიან იმ დროს, როდესაც მდინარეებს წყალი ეძატებათ?

— წყალ-დიდობას.

— როგორ ეტყვიან სხვა ნაირათ—ცუდი ტაროსი დადგა?

— ე. ი. ცუდი დარბია: ან ძლიერ ცივა, ან ქარი ქრის, ან წვიმს და სხვ.

— რა აზრით არის აქ ნათქვამი: ცვლილობს ტაროსიო?

— კაი დარბი დგება.

მირს მიწასკდა სხანს ჭიანჭველს,
ძაღლს ჭერში ჭრელი ზეშელს,
და ფავილეშედ ფუტკარი ფკელს
ზის, მსიარულობს, სუზუნებს ნელს.

მაგრებდი თავს, მაგრამ მეტე ისევ ერთი ახირებუ-
ლი რამ მომაგონდებოდა და ისევ ვიწუებდი სარსარს...

მე ვიცინი.

„—სუ, ბიჭო, გაიკებენ! თორემ ავინთე ამ სან-
რით გვერდები!“ ჩუმათ მიჯავრდება ვასიკო. მაგრამ
მე, ჩემდა უნებურად, უფრო უმატებ სარსარს.

„—განუძლი მეტი!“ მიმეორებს ვასიკო—„რ
გათრივთრიკებს? თორემ კაკანათს თავს დაჯანებებ, აი!“

„—რ ვენა, ვასიკო!“ —ვეუბნები მე—„არ შე-
მიძლიან და, რა ვენა?“

„—არ შეგიძლიან!?“ მამ მოიგონე ვინმე თქვე-
ნი მიცვალებული და სიცილი ჩავივარდება.

მეტი დონე არ იყო... მე მივეცი თავი ჩიტების
კულისთვის მწარე ფიქრებს და მოვიგონე საწყალი
ჩემი დიდ-დედა. სიცილი მართლა ჩამივარდა.

ჩვენ მივცვივდით ისევ ჭუჭრუტანასთან და თვალ-
წინ წარმოგვიდგა შემდეგი სურათი: ერთი მამალი
ჩიტა შემჯდარიყო ჩვენ კაკანათის რკალსედ და შეუ-
ზოვრად იშენდა ფრთებს, თითქოს სხვა ალაგი ვე-
ღარ უზოვნიაო. აი, ერთბაშად შეასწრო მან თვალი
პურის მარცვლებს, გადმოხტა იქიდან, ეცა კაკანათს
და... ჩაჰკრა ერთი!...

—ჯან!..

ჩაჰკრა მეორე: კაკანათის ენამ ცოტა ძირს დაიწია.

„—ერთიც!“

ში. მაგრამ ამ დროს კაკანათის დაცემის სმის მაგერ მოისმის ფრ... რ... რ... და ჩიტები აძლე-ბიან. იმათმა აძლელობა, ერთმა ვილაც ახმანმა, ნაბადში გახვეულმა კაცმა, არსეინათ ჩამოიარა კაკანათისკენ, თითქოს აქ არაფერიაო, წამოჰკრა კაკანათს თავის ტოტეი ფეხები და ამოაკდო თოვლიდან.

„—მოკტედეს კისერი, გაგისძეს ფეხები!“ — მისძის მას უკან გულ-დათუთქული ვასიკო.

მაგრამ ძეტი ღონე არ არის, ჩვენ გავრბივართ, რომ კაკანათი ხელმეორეთ გავასწოროთ.

გავასწოროთ ხელმეორეთ კაკანათი, წავაყარეთ ახალი თოვლი და ისევ ამოვეფარეთ ბოსლის კარებს.

ჩიტები იწეებენ ისევ მოგროვებას. ორიოდე მათგანი კიდევ უახლოვდებიან კაკანათს.

„—მოდით გენაცვა, მოდით კუჭისა!“ — იძის ჩუმათ განარებული ვასიკო და თან, რაც ძალი და ღონე აქვს მუჯღუგუნებსა ძცემს. „—იცო რა?“ — განაგრძობს სიტუვას ვასიკო — „ეგ ოხერა ჩიტი წელანდელია, აი... კუდზედ ეტუობა!“

„—კუდზედ ეტუობა!“ ჩუმად გავიმეორე მე და ერთბაშად წამსკდა სიცილი. უნდა გითხრათ, რომ მე საკვირველი სიცილი ვიცოდო: თუ ერთი აძიტედებოდა — გათავდა, ველარაჟინ ვერ დამაყენებდა: ეოველი გაჯავრება, ხვეწნა ამის შემდეგ ამაო იყო. მოსდებოდა სოლმე, რომ ცოტას ხანს როგორმე შევი-



მასწავლ.—რათ მიუქცევია ავტორის (სიტყვა ავტორი უნდა ახსნილი ჰქონდეს) უურადლება ჭიანჭველას, ზეპელას, ფუტკარს?

მოსწ.—იმიტომ რომ, ყველა ესენი ძლიერ ადრე შეიტყობენ სოფელ გზაფარულის მოახლოებას: დათება თუ არა, მაშინათვე ესენი ბოლოთ გამოიფინებინ სოფელ სანა კი ცოტა ბაღასის სუნია.

- რისთვისაა მის ფუტკარი ყვავილზედ?
- იგი ავრკვეს ყვავილების ტკბილ წვენს და ამზადებს მას-

მოქარგულს ბაღში ბუღბუღი გალობს,
 ბელურა ჩიტო მარდათ ფრინავსა,
 მერცხლის ჭიკჭიკით ყმაწვილი ხარობს:
 ბუკრის სტუნვითა ძლიერ-და ფშინავსა.

მასწავლ.—რას ნიშნავს მოქარგული.

მოსწ.—ფერადი ძაფით ამოკერილ სსკა-და-სსკა გვარ ფიგურებს რომელიმე ნივთზედ.

- რითი არის მოქარგული ბაღი?
- სსკა-და-სსკა გვარად ყვავილბუღი სეხილით.
- მ.შ მოქარგული ამ შემთხვევაში, რომელი სიტყვით შეგვიძლიან შევსწავლოთ?
- აჭრელბუღი.
- ბელურა ჩიტს რა საქმე გამოუჩნდება სოფელ გზაფარულზედ?
- იგი ბუღას იკეთებს, კვარცხებს სდებს და ბარტყებს სჩეკს.
- როდესაც ვადას ბუკრი საქმე აქვს, როგორ მოქმედობს სოფელზე?
- ბუკრითა, მარდათ.
- აჭრეკა ესე ბელურა, თუ არა?
- აჭრეკა: იგი მარდათ დაფრინავს.
- რათ უსწრის ყმაწვილს მერცხლის ჭიკჭიკი?
- იმიტომ რომ იგი მერცხლას ახლად ჩხედავს მოფრინილს თბილის ქვეყნიდამ.
- როგორ გამოაცხადებს სოფელ ყმაწვილი თავის სინარულს სსკა-და-სსკა შემთხვევაში?
- იგი მაშინვე სტუნვას მოჭეუება სოფელ.
- სწინს ეს ლექსიდანაც, თუ არა? თუ სწინს, მითხარით, რომელი სიტყვებიდან?

- „ბეკერის სტუნკითა ძლივს-და ფშვინავსო.“
- რას ნიშნავს სიტყვა ფშვინავს?
- ძნელად სუნთქავს.

ათს-ოგისი უველს გამაგრდა წელში,
შინაური თუ გარეული;
რქიანი, ურქო—ჭალა და ველში—
ერთმანეთშია არეულიო.

მასწავლ.—ვისზედ იტყვიან წელში გამაგრდა?

მოსწ.—ვინც ავად ანუ სუსტად იქმნება და მერე კარგად შეიქნება,
ძალ-ღონე მოემატება.

- განა ათს-ოგისი ცხოველები აქამდის ავად იყვნენ?
- არა. იგინი ზამთრის სიცვიის და უბალსობისაგან შეწუხებუ-
ლები იყვნენ და გაზაფხულის სითბომ და ბალსმმა მათ იფერი
გამოუცვალა და კვანი მისცა.

ბარი და ცელი გლესთ გამოძებნეს,
საგძლისთვის იწუეს ზურის ცნობა...
დმერთო, უფალო, შენ გეკედრები:
დააჯილდოვე მათი შრომა!

მასწავლ.—რას შერებინა ბარი?

მოსწ.—ჭბარავენ.

- ცელი?
- სთიბავენ ბალსს.
- რას ეძახიან იმ კაცს, რომელიც სთიბავს ბალსს?
- მთიბავს.
- რითი განირჩევიან ცული და ნამგალი ერთმანეთისაგან.
- ნამგალი ზატარაა, ვრგალსავით მოხლილი, ტარი ძლიერ ზა-
ტარა აქვს და ხმარობენ უნის სამკელად; ცული კი უფრო დი-
დაა, გაშლილია, გრძელი ტარი აქვს და ხმარობენ ბალსის
სათიბათ.
- რა არის საგძალი.
- ზური და სხვა საჭმელ-სასმელი, რომლებიც საგზაოთ მიჰქო-
ხლამე.
- რათ უნდათ ამ შემთხვევაში გლესებს საგძალი?

- იმიტომ რომ იგინი მინდორში სამუშაოთ აწირობენ წასვლას.
- ლექსის რომელი სიტყვებიდამა სხანს რომ გლეხები სამუშაოდ ეძინადებიან?
- „ბარი და ტელი გლეხთ გამომკენეს“
- რათ არის ნათქვამი გამომკენეს? განა დაკარგული ქონდათ?
- არა. ისინი შენახული ქონდათ აქმდის, რადგანაც ზამთარში საჭირო არ იყვნენ.
- რომელი სიტყვით შეიძლება შევსწავლოთ სიტყვა გ კ ვ ე დ რ ე ბ ი ?
- გონივ, გუნგუნი.
- როგორ მეტყვი სხვა სიტყვით ჯილდო?
- სახუქარი.
- მას როგორ შეიძლება შევსწავლოთ სიტყვა დაჯილდოვებ?
- დასახუქარ.
- რითი შეიუძლიან დაჯილდოვოს ანუ დასახუქაროს ღმერთმა გლეხის შრომა?
- კაი მოსავლით.
- ვინა სთხოვს ღმერთს, ჯილდოს?
- ავტორი.
- ვისთვის?
- გლეხებისთვის.
- როგორ ვატს დაუძახებენ იმას, რომელიც სხვისთვის ზრუნავს?
- კეთილს.

II.

საზოგადო მოჯულობა შინაარსიდი

მასწავლ.—რას სთავაზობ აქვს ამ ლექსს?

მასწ.—„გაწავსული.“

- რომ ზედ ასე არ ეწეროს, შეგიძლიათ მისგდეთ, რომ აქ გაწავსული ზედ არის დაწარავი?
- შეგიძლიან.
- აბა, როგორ?

— ლექსში სწერია: თოვლი დადნაო, მთა-ბარი მწკანეთ ირთვე-
ბაო, მდინარე დიდდებაო, მიწაზედ ჭიანჭველა სჩანს, ჭიქრში
შეპელაო, ბალი ყვავილებო, მერცხალი ჭიკჭიკებს და სსვ. და სსვ.

III.

დასკვნა

მასწავლ.— მაშ აბა, ვინ მეტყვის: გაზაფხულზედ მარტო ერთი ან
ორი საგანი ჭგომნობს ცვლილებას, თუ ბევრი?

მოსწ.— ცვლილებას ყველა საგნები ჭგომნობენ: მთა, ბარი, ტყე, მინ-
დარი, კაცი, ცხოველი, ფრინველი, მწერი, და სსვ.

— ეს ცვლილება გაზაფხულისა სულიერ საგნებს ესამოგნებათ,
თუ არა?

— ესამოგნებათ.

— საიდანა სჩანს ესა?

— იქიდან, რომ მწერები ბლომად გამოიშლებიან სოფელ: ზოგი
მიწაზედ, ზოგი ჭიქრში, ზოგი ყვავილებზედ; ზამთრის სუსისაგან
შეწუხებული ოთხივენი ცხოველებით მინდვრები ივსება, სადაც თავი-
სუფლად ნავარდობენ; ფრინველთ გუნდებს რიცხვი არა აქვთ, გალო-
ბით ახმაურებენ მთელს არე-მარეს. ყმაწვილები თავ-გადაგლეჯილი დას-
ტინ და შექნარისა გაცხოველებულს, აჭრელებულს ბუნებას. გლეხები
ბევრითაღ ჭვიდებენ საქმეს ხელს და ასალი მოსავლის იმედით წასალი-
სებულნი, სიმღერას უმატებენ და სსვ. და სსვ.

მკითხველი შეგვაძინებდა, რომ ზასუსები სრულად არა გვაქვს
დაწერილი. ვსთხოვთ, მასწავლებლებმა მოითხოვონ ვრცელი ზასუსნი
მასწავლეთაგან. თუ სკენ აქ მოკლედ ვსწერავთ, ამის მიზეზს იმედი
გვაქვს, ყველანი მისვდებიან.

შემდეგ ამგვარი გარჩევისა, მასწავლებელი მოითხოვს მასწავ-
ლეთაგან ლექსის შინაარსის ვრცლად გარდმოცემას თავის სიტყვებით.
ამას გაიმეორებს რამდენიმე და შემდეგ ამისა შეუდგებიან გაზეპირებას.



ბარონი ნ. ა კორჭი.

(ორიოდე სიტყვა იმის გარდაცვალებაზედ).

გავდიდ გიორგობისთვის 14-ს რუსეთის სასაღსო სკოლამ დაჯგურა უწარხინებულესი თავისი მსრუნველი და გულის-შემატვიჯარი ბარონი ნ. ა. კორჭი. თავისი დაუღალავი შრომით და ნაყოფიერი მოღვაწეობით ბარ. კორჭმა იმდენს სამსახური გაუწია რუსეთის სასაღსო სკოლას, რომ რუსეთის სსკვ გამოჩინელ ჰედაგოგთა შორის ამასაც შეუძლიან თამამად დაიკავონ ერთი უშირველესი ადგილი.


ნ. ა. კორჭი დაიბადა 2 მკათათვეს 1834 წ. იმავე ქალაქში, რომელშიაც გარდაიცვალა, ე. ი. სარკოვში. ოცის წლისამ შესარულად სწავლა ალექსანდროვის ლიცეიში ვენსლის მედალით და დაუფრებელივ შევიდა სამსახურში იუსტიციის სამინისტრო დემონსტრანტში, სადაც მასმა ენერგიულმა ბუნებამ წელიწად-ნახევარზე მეტი ვერ დაჭეო; დასება შეტყობურდს თავი და წავიდა ვატიკანის სასახლის გუბერნიისში, თავის მემკვიდრეობითი მძულში, სადაც, ცოდის შერთვის შემდეგ, კიდევ დასასდდა. ამის შემდეგ თითქმის ათი წელიწადი სან პრავინციისში სტანოვრობდა, სან სამხლვარ-გარეთ და ამ დროს განმავლობაში სულ სამეცნიერო მეცადინეობაში იყო გართული.

1866 წ. ბარ. კორჭი, საეროვნო დაწესებულებების შემოღების დროს, აღმოჩნულ იქმნა ხმოსნად ალექსანდროვის მარნაში. მარნის საეროვნო ექვსს ვრებაზედ იგი ასრულებდა მდივნის თანამდებობას და იმავე დროს საარქივო კომისიის წევრად ითვლებოდა. სამ-



ვავროს სახლი დაწესებულების შემოღებისთანავე ნ. ა. კორჭი ამოიწ-
 ხიეს საზატიო მოძრიგებელ-მოსამართლედ და სამის წლის განმკალო-
 ბაში ასრულებდა მოძრიგებელთ კრების (мировой съездъ) თავს-
 მუდომარის თანამდებობას. ამ ხანებში კორჭმა დახსლავებით გაიწ-
 ნო გლეხების მდგომარეობა, მათი საჭიროება და 1867 წლიდან
 გასაოცარის ენერგიით მოჰყიდა მან ხელი, ალექსანდროვის მახრამი-
 ვე, შირველ-დაწეებითი სასწავლებლების გავრცელებას და მათ გაუმ-
 ვობესობას. იგი ამზადებდა თავის სკოლებისთვის მასწავლებლებს,
 მართავდა მასწავლებელთა საზოგადო კრებებს, თხზავდა მათთვის
 სსკა-და-სსკა გვარ სახელმძღვანელო წიგნებს და ქმნიდა განუწყვეტე-
 ლი ჰედაგოგიური მიწერ-მოწერა სსკა-და-სსკა მასწავლებლებთან
 თითქმის მთელს რუსეთში. უკანასკნელი დღეები თავის სინოცლისა
 მოხადობა განსაკუთრებით სახალხო განათლების საქმეს და ამიტო-
 მან კიდევაც დაიჭირა ჰედაგოგიის ისტორიაში ისეთი თვალ-საზრისო
 ადგილი, რომელიც დირსეულად დაიმსახურა მან.

ნ. ა. კორჭის სსკა მრავალ ნაღვაწთა შორის ჩვენ დავასახე-
 ლებთ აქ მხოლოდ ისეთებს, რომლებიც მარტო ჰედაგოგიას შეეხე-
 ბიან: ა) „Руководство къ обученію грамотъ,“ ბ) „Русская на-
 чальная школа,“ გ) „Нашъ другъ,“ დ) „Малютка,“ ე) „На-
 ше школьное дѣло,“ ვ) „Руководство къ наглядному обученію,“
 (ნათარგმნი), ზ) „Итоги народнаго образованія въ европей-
 скихъ государствахъ,“ (ს) „Исторія Востока, Греціи и Рима.“



რედაქტორი-გამომცემელი ა. ს. ლულუაძე.

განსხაღებანი

მიიღება ხელის მოწერა

მომავლ 1884 წლისათვის გაზეთს

დ რ ო ე ბ ა ს ე დ

(წაღწაჲ შეცხამება).

თბილისში, „დროების“ დედაქციის კანტორაში, სიმონსოვის ქუჩაზედ, ნაზაროვის სასაღში, შირველი კლასიკური გიმნაზიის უკან. თელავში, ვანო როსტომიშვილთან.

ქუთაისში, ჭიჭინაძეების წიგნის მაღაზიაში, ბუღვართან.

ბათუმში, წერა-კითხვის სკოლის მასწავლებელ მ. ა. ნათაძესთან.

გორში, საზოგადოების დეპოში, ალაფო თუთაყვითან.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი:

Въ Тифлисе, въ редакцію „Дროება“.

ფასი ხელის-მოწერისა:

წლით (12 თვით) 9 მან. 11 თვით 8 მ. და 50 კ. 10 თვით 8 მან. 9 თვით 7 მ. და 50 კ. 8 თვით 7 მან. 7 თვით 6 მან. 6 თვით 5 მან. 5 თვით 4 მ. და 50 კ. 4 თვით 4 მან. 3 თვით 3 მან. 2 თვით 2 მან. 1 თვით 1 მან.

სოფლის მასწავლებელთათვის წლით—7 მან., 6 თვით—4 მ. 3 თვით—2 მან.

სკედრი ფული ხელის-მოწერმა გაზეთის დაბარებისათხავე უნდა გამოგზავნოს რედაქციაში.

Открыта подписка

НА ГАЗЕТУ

„КАВКАЗЪ“

НА БУДУЩІЙ 1884 ГОДЪ.

Газета будетъ издаваться совершенно на тѣхъ-же основаніяхъ, какъ и въ 1883 году, по той-же программѣ и подъ тою же редакціею.

Условія подписки: съ доставкою въ Тифлисъ: на годъ—11 руб. 50 к., на полгода—6 р.; на три мѣсяца—3 р., 50 к., на одинъ мѣсяць—1 р., 50 кон.

Съ пересылкою иногороднымъ: на годъ—13 р.; на полгода—7 р.; на три мѣсяца—4 р.; на одинъ мѣсяць—1 р. 75 кон.

Подписка принимается въ Тифлисъ, въ конторѣ газетъ „Кавказъ“, на Дворцовой улицѣ, въ домѣ № 5, Сараджева. Иногородные подписчики адресуютъ свои требованія: въ Тифлисъ, въ редакцію газетъ „Кавказъ“.

Иногородные могутъ подписываться лишь съ 1-го числа каждаго мѣсяца.

Редакторъ-издатель кн. Д. Г. Эристовъ.

„უურნალი ივერიის“

(წელიწადი მერვე).

მოდკვალ 1884 წ. იანვრიდან უურნალი „ივერიის“ გამოვა ყოველ თვე და თვე იმავე სახით და სივრცით, როგორც აქამდე გამოდიოდა.

ხელის-მომწერა მიიღებს

თბილისში: შვეკრდოვის სააგენტოში და „ივერიის“ რედაქციაში, რომელიც იმყოფება სიმონსონოვის ქუჩაზედ, ნაზაროვის სახლებში, შირველი ვლასიგური გიმნაზიის უკან, სადაც შედა საართულში „დროების“ რედაქცია და იქვე, შუა საართულში, რედაქცია „ივერიისა“.

ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში, ბუღვართან.

ბათუმში. „წერ-კითხვის საზოგადოების“ სკოლის მასწავლებელ მ. ი. ნათაძესთან.

ფასა მთელის წლისა 7 მან., სოფლის მასწავლებელთათვის — 5 მ.

ქაჯეს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა დაიბარონ უურნალი: Въ Тифлисъ, въ редакцію журнала „Иверія“.

ხვედრი ფული ხელის-მომწერმა უურნალის დაბრებისათვის უნდა გამოგზავნოს რედაქციაში.

რედაქტორი და გამომცემელი ილ. ჭავჭავაძე.

სъ 1-го января 1884 года.

ВЪ ТИФЛИСѢ БУДЕТЪ ИЗДАВАТЬСЯ

НОВАЯ ЕЖЕДНЕВНАЯ (350 НУМЕРОВЪ ВЪ ГОДѢ) ЛИТЕРАТУРНО-ПОЛИТИЧЕСКАЯ

А З Е Т А

„НОВОЕ ОБОЗРѢНІЕ“

подъ редакцію А. В. СТЕПАНОВА (бывш. редакторъ „Юрид. Обозр.“)

Объемъ газеты — печатный листъ средняго формата; программа — общая всѣмъ литературно-политическимъ ежедневнымъ изданіямъ.

Подписная цѣна съ пересылкою и доставкою: на годъ — 10 руб. на 6 мѣс. — 6 р., на 3 мѣс. — 3 р. 50 к., на 1 мѣс. — 1 р. 50 коп.

Подписка (городская и иногородная) и объявленія (по 5 коп. за строку петица) принимаются въ Тифлисъ исключительно въ Газетномъ Агентствѣ В. Шавердова; въ С.-Петербургѣ-же и Москвѣ — въ книжныхъ магазинахъ „Новаго Времени“.

Временное (до 15-го декабря) помѣщеніе редакціи: Давидовская ул., д. Кананова, квартира редактора.

За газетой обезпечено постоянное сотрудничество: кн. К. А. Бебутова, Вс. М. Гаршана, П. А. Измайлова, С. Н. Кривенко, Н. Я. Николадзе П. А. Опочинина, А. Н. Плещеева, И. Ф. Тхоржевскаго, Гл. И. Успенскаго, Н. А. Шаврова.



ՊԱՏԱՆԿԱԿՈՒԹԻՒՆ

ՊԱՏԱՆԿԱԿՈՒԹԻՒՆ ԿՐԹԱՐԱՎՈՒԹԻՒՆ ԵՐԿՐԱՆԵՐԻ ԵՒ ԳԱՍՏԻԱՐԱԿՆԵՐԻ ՀԱՄԱՐ:

(ՏԱՐԷՆԸ 1, ՈՅՍ ԿԸ ՏԵՍՆԻ 12 ՀԱՄԱՐ 2—3 ՏՊԱԳՐԱԿԱՆ ԹԵՐԹ՝) ԿԸ ՀՐԱՊԱՐԱԿՈՒԹՅԱՆ ՄԻՆԵՆՈՅՆ զԵՐՔՈՎ ՄԻՆԵՆՈՅՆ ՍԵՂՂՈՒԹԵԱՄԵ Ե ՆՈՅՆ ԱՂԽԱՏԱԿԵՆՑՆԵՐԻ ՄԱՍՆԱԿՅՈՒԹԵԱՄԵ:

ԲՈՎԱՆԳԱԿՈՒԹԻՒՆ

ՄԱՍՆ ԱՌԱՋԻՆ

- I) Վէպեր, մանրավէպեր, զրույցներ, առակներ, հեքիաթներ, ճանապարհորդութիւններ, կենսագրութիւններ:
- II) Բանաստեղծութիւններ:
- III) Բրտուլթիւն և արուեստ:
- IV) Հետաքրքիր տեղեկութիւններ:
- V) Այլ և այլք:

ԶՈՒՍԻՃԱԼԻՔ

- VI) Մանկական, ֆրեբելեան շախմատի և այլ խաղեր, բերուաներ, թուարանակալ խնդիրներ: Անեկդոտներ, հանելուկներ, շուտասելուկներ:
- VII) Երգեր նոտաներով:

ՄԱՍՆ ԵՐԿՐՈՐԴ

- VIII) Կրթութեան և դաստիարակութեան վերաբերեալ լուրացանքներ և տեղեկութիւններ:
- IX) Առաջարկութիւններ, խոհուրդներ:
- X) Մատենախօսութիւն և նր զրքեր:
- XI) Խառն լուրեր:

Պատասխաններ: Յատարարութիւններ:

Երկրորդ բաժինը կը հրատարակուի առանձին թերթերով տարեկան չորս անգամ:

Տարեկան բաժանորդները կը ստանան երկու պեղծիկ, յուլիսն և դեկտեմբերին:

«ԱՂԲԻԻԲԻ» տարեկան բաժանորդագինը 3 ռուբլի է, կէս տարուանը՝ 2 ռուբլի:

Հասցէն՝ Тифлисъ. Редакция „Агпюръ“ իսկ արտասահմանից՝ Tiflis (Caucase) Rédaction du journal. «AGBUR.»

«ԱՂԲԻԻԲԻ» ԹԻՖԼԻՍՈՒՄ ԿԱՐԵԼԻ Է ՍՈՐՐԱԳՐՈՒԵԼ Ե ՀԱՅԳՐԱՎԱՃԱՌԱՆՈՅՆԵՐՈՒՄ, պ. Շահվերդեանի պալիլիօնում ու Մանկական գրադարանում, իսկ Պոլսում «Բուրաստան Մանկանց» հանդիսի խմբագրատանը: Խմբագիր Հրատարակիչ՝ ՏԻԳՐԱՆ ՆԱԶԱՐԵԱՆՅ:



ქ. თბილისში

გამოცემა უფვედ-თვიური ყრმათა საკითხავი სურათი, ბიანი ურნალი

„ნობათი“

ჰედაგოგიური ნაწილის დამატებით.

მთელი წლის გამოცემა ურნალი „ნობათი“-ს იქნება 12 წიგნი, რომელიც ზედ-მიწევნით შეადგენს 800 გვერდამდე დიდი ფორმატისა და 1000 წიგნი არა ნაკლებ 4 ბეჭდ. ფურცლისა.

ყრმათა საკითხავ წიგნისათვის საჭირო სურათები დამზადებული იქნებან პეტერბურგში.

ყრმათა საკითხავ წიგნში დაიბეჭდება: ლექსები, მოთხრობები, ზღაპრები, სურათები ხალხის ცხოვრებიდან; ბიოგრაფიული მოთხრობები, მოგზაურობა, ეპიზოდური მოთხრობები ისტორიიდან, ამბები გეოგრაფიიდან და ბუნების მეცნიერებიდან; იგავები, ანდაზები, გამოცანები, შირები, არითმეტიკული გამოცანები; სათამაშოები, რებუსები, სიმღერები ნოტებით და სხვ.

დამატებაში—მშობელთა და აღმზრდელობათვის—დაიბეჭდება: პედაგოგიური სტატიები მშობელთა და აღმზრდელობათვის შესახებ ყმაწვილების აღზრდისა და სწავლისა (პირველ-დაწყებითი). კრიტიკული და ბიბლიოგრაფიული სტატიები პედაგოგიური თხზულებებისა. პედაგოგიური ქრონიკა ჩვენი და უცხოეთის ცხოვრებიდან. ნარევი. „ნობათი“-ს ფოსტა. განცხადებანი.

დამოუკიდებელი მონაწილეობა ურნალ „ნობათ“-ს ალუთქვეს და მიიღებენ: თ. აკ. წერეთელი, თ. რ. დ. ერისთავი, გ. ე. წერეთელი, თ. ნ. ტ. დადიანი, ი. ბაქრაძე, ე. რ. გაბაშვილისა, ა. მ. მოჩხუბარიძე (ყაზბეგი) და სხვ.

ურნალზე ხელის-მოწერა.

ურნალი „ნობათი“ ქალაქს გარეშე გაგზავნილ და ქალაქში დარჩებით წელიწადში ეღირება ოთხი მანეთი. ცალკე ნომერი ათი შაური. მარტო ნასეკარი წლის ხელის-მოწერა არ მიიღება.

სოფლის მასწავლებელთ შეუძლიანთ გამოგზავნონ: თავ-და-პირველად—2 მან. და შემდეგ: მაისში—1 მან. და ენკენისთვეშიც—1 მან.

რომელთაც ამ რიგათ ხელის-მოწერა ჰსურთ, პირ-და-პირ რედაქციას უნდა მიმართონ.

ხელის-მოწერა მიიღება:

თბილისში—ურნალი „ნობათი“-ს რედაქციაში, ალექსანდროვის ბაღთან, ხაზინის ახლოს, თემანიშვილის სახლ. № 7 და შავერდოვის წიგნის სააგენტოში.

ქუთაისში—ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში.

გორში—ეპ. ფურცელაძისას.

თელავში—ი. პ. როსტომაშვილთან.

ფოსტის ადრესი: *Тифлис, во редакцію педагогического журнала „Нобათი“.*

რედაქტორი-გამომცემელი ა. ს. დულაძე.

„ЮРИДИЧЕСКОЕ ОБОЗРѢНІЕ“

(ГОДЪ ЧЕТВЕРТЫЙ).

Журналъ, какъ и прежде, будетъ выходить по четвергамъ, въ размѣрѣ отъ 1 до 2 печатныхъ листовъ, по слѣдующей программѣ:

I. Статьи по всемъ вопросамъ, вытекающимъ изъ теоріи права и судопроизводства.—II Перечень, изложеніе и обсужденіе важнѣйшихъ распоряженій и законеній правительства.—III. Судебная хроника: а) отчеты о засѣданіяхъ въ судахъ, преимущественно Кавказскаго края, и б) особенно интересныя рѣшенія Кавказскихъ гражданскихъ судовъ по вопросамъ права и судопроизводства, вызваннымъ мѣстными особенностями края.—IV Корреспонденціи юридическаго содержания.—V. Краткіе отчеты о новыхъ книгахъ юридическаго содержанія (Обзоръ юридической печати и библиографія).—VI. Смѣсь (разныя извѣстія). Случаи изъ судебной жизни и практики.—VII. Тезисы кассационныхъ рѣшеній: а) кассационныхъ департаментовъ сената и б) Тифлисской судебной палаты.—VIII. Извѣщеніе изъ приказовъ о важнѣйшихъ назначеніяхъ по вѣдомству юстиціи.—IX. Судебный указатель. Резолюціи Тифлисской судебной палаты по двѣмъ апелляціоннымъ и кассационнымъ.—X. Объявленія—казенныя и частныя.

При всей трудности изданія юридическаго органа на далекой окраинѣ Россіи, необходимость и полезность такого органа на Кавказѣ доказывается вѣдученіемъ „Юридическаго Обозрѣнія“ въ четвертый годъ своего существованія. Въ настоящее время редакція заручилась сотрудничествомъ многихъ юристовъ, врачей и публицистовъ. Мы можемъ указать, какъ участниковъ въ нашемъ журналѣ: К. Д. Анциферовъ, Д. З. Бакардзе, Ѡ. А. Быкова, Ф. К. Бакаго, Кн. К. А. Бобуто-а, Г. Г. Гвиніева, А. А. Гребенщикова, С. I. Гулишамброва, Н. А. Дингельштедта, Н. В. Долова, Г. А. Джаншіева, Г. И. Еджутова, Д. И. Кипіани, Д. В. Квирилія, П. И. Козалевскаго, П. М. Лебединскаго, Я. И. Лудмера, Н. Я. Николадзе, П. А. Опочинина, Д. П. Пурцеладзе, Я. И. Рагета, Н. П. Смиттона, В. Д. Спасовича, А. В. Степанова, А. А. Фонъ-Ашеберга В. А. Хлѣбникова, Н. А. Шаврова и др.

Въ распоряженіи редакціи имѣются статьи, какъ мѣстнаго, кавказскаго, такъ и общаго интереса. Изъ числа ихъ предназначены къ печатанію въ 1884 году: матеріалы для новыхъ Уложений—Уголовнаго и Гражданскаго, о водовладеніи на Кавказѣ и другихъ мѣстахъ по законамъ: царя, Вахтанга, шаріату и др., о межеваніи, о пошлинахъ, о литературной и музыкальной собственности, о нефтяныхъ законахъ въ разныхъ странахъ, о колоніяхъ преступниковъ, о сельской адвокатурѣ, о безпріютныхъ дѣтяхъ, о формѣ суда присяжныхъ на Кавказѣ, о хизанахъ, о санашонахъ, о древне-армянскомъ законодательствѣ (ислѣдованія Мхитара-Гюша), о мусульманскихъ законахъ на Кавказѣ, о древне-еврейскомъ законодательствѣ и пр.

УСЛОВІЯ ПОДПИСКИ:

Редакція и Администрація журнала (для пріема подписей, объявленій и розничной продажи)—Тифлисъ, Сололакская ул., д. кн. Меликова.

Подписная цѣна за журналъ, съ доставкой и пересылкою: на годъ—10 р.; на 6 мѣс.—6 р.; на 3 мѣс.—3 р. 20 к.; на 1 мѣс.—1 р. 25 к. Подписываться можно съ 1-го числа каждаго мѣсяца и не далѣе конца года.

Разсрочка въ платежѣ денегъ допускается—для годовыхъ подписчиковъ: при подпискѣ 4 р., въ мартѣ и апрѣлѣ по 3 р., и для полугодовыхъ: при подпискѣ 3 р. и черезъ два мѣсяца еще 3 р.

При перемѣнѣ адреса вносить 40 к.

Объявленія, казенныя и частныя—строка петита 10 коп., $\frac{1}{2}$ страницы 3 р. 25 к., цѣлая стран. 6 руб. 50 коп.

Подписна и объявленія принимаются также въ Москвѣ и Петербургѣ, въ книжныхъ магазинахъ И. П. Анисимова.

Отдѣльные №№ „Юрид. Обзор.“ продаются по 25 коп. въ Тифлисъ, въ Центральной книжной торговлѣ и въ г. Кутаисѣ, въ книж. маг. Чиладзе.

Статьи должны имѣть подпись и адресъ ихъ автора, для свѣдѣній редакціи, и могутъ подлежать передѣлкамъ и сокращеніямъ.—Статьи безъ означенія условій гонорара признаются бесплатными.—Обратная пересылка рукописей для редакціи не обязательна.

При доставленіи въ редакцію „Юридическаго Обозрѣнія“ экземпляра юридическаго сочиненія, о немъ будетъ данъ отчетъ и сдѣлана публикація.

ს ი მ ღ ე რ ა

Andante

Soprani



anto

1, მს — ი — სის კანდ — მს
2, ბე — ზე — კმან მწკა — ნით

iano

Solo

ფერს — ქნილ — მან, 3, ბუღ — ბუღი — — — — —
მკო — ბილ — მან,

tutti

ს — თრე სე — ნი — — — — — რა ჟის ს —



ში — — კმან თრო — ბილ — — მ.ნ?



მოსთქვამს: ამაყო და ზვან,
შეუბნაღყო, გულქვან!
ხელი რად უფრო მახედე,
ჭოფ ჭირზე ჭირის დამრთაო?

აღ. ჭავჭავაძე.

